საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 5-7 აგვისტო. 2022 წ. №111-112 (9449-9450) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საკაშვილის ფიგურამ ფუნქცია დაკარგა!

②③

დასავლეთი რევოლუციური სცენარებით დაიღალა!

ქართული სცენის სახალხო ბრწყინვალება

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მსახიობი თენგიზ არჩვაძე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

პრეზიდენტმა სახელმწიფო ჯილდო სახალხო არტისტს ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და გამორჩეული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიანიჭა. სალომე ზურაბიშვილმა ბრწყინვალების ორდენი მას პირადად გადასცა.

პრეზიდენტმა თენგიზ არჩვაძეს, რომელსაც 90 წელი შეუსრულდა, დაბადების დღე მიულოცა და ჯანმრთელობა და გამძლეობა უსურვა.

* * *

იმის მიუხედავად, რომ ხმაურიანი სიტყვები და შეფასებები არ უყვარს, თენგიზ არჩვაძის მაღალ ხელოვნებას მაყურებელი მხოლოდ სამი თვალადური ქართული სიტყვით აფასებს – ბრწყინვალე, განუმეორებელი, უიშვიათესი!

თენგიზ არჩვაძე ქუდბედიანი არტისტია, 90 წლის გახდა და ისევ თავმდაბლობს, შექებას არ იმჩნევს, მშვენივრად აზროვნებს და ბოლომდე თეატრის სცენას კინოს ამჯობინებს... თუმცაღა, ხალხის საყოველთაო სიყვარული სწორედ კინოში განხორციელებულმა როლებმა მოუტანა.

მხნედ, ქართული სცენის ბაჯაღლო რაინდო! გილოცავთ დაბადების დღეს და პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენს!

ხედავთ?! – ამ აღიარებასაც ახლავს სიტყვა ბრწყინვალება!..

ღირსი ხართ და ამიტომ...

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

მოსკოვთან „პარტნიორობა“: როგორ ③ ჩანაცვლდა აფხაზეთში იმედი შიშით

ნანა კაკაბაძე: პოლიტიკური მანიპულირების იარაღი

④

დღევანდელ დასავლეთში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით თვითმარქვია ლიბერალების საძულველი ენით განმსჭვალულ ნაზრევს!

კახა კალაძე: ცენტრალური პარკის პროექტში ცვლილება მოქალაქეების დაკვეთა იყო!

თბილისის მერი კახა კალაძე ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე ცენტრალური პარკის მოწყობის პროექტში განსახორციელებელ ცვლილებებს ადგილზე გაეცნო. ცვლილებების თანახმად, შეიცვალა დეკორატიული ატრაქციები.

კერძოდ, ფრანგული ბაღისა და ბოტანიკური ბაღის ადგილზე, რომელთა საერთო ფართობი 28 232 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, მოეწყობა გამწვანებული სივრცეები და საპიკნიკე მოლები, ხოლო მცირე ზომის გორაკებზე დაირგვება ხე-მცენარეები. თბილისის მერის განცხადებით, ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოებს, მუნიციპალიტეტისთვის ტერიტორიის გადმოცემასთან ერთად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი და ფონდი „ქართუ“ აფინანსებს.

„ცენტრალური პარკის პროექტში განხორციელდა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს იყო მოქალაქეების დაკვეთა. ფრანგული და იაპონური ბაღების ნაცვლად, გაჩნდა ორი დიდი მდელო, რაც გამოყენებული იქნება სხვადასხვა მიზნისთვის – დასვენებისთვის, გართობისთვის და ა.შ. ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას – ხშირად არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ, თითქოს, მუნიციპალიტეტი ხარჯავს თანხებს ამ პროექტის განხორციელებაში. ეს სივრცე მუნიციპალიტეტს საქველმოქმედო ფონდი „ქართუსგან“ საჩუქრად გადმოეცა. პროექტი სრულად დაფინანსებულია ბიძინა ივანიშვილის მიერ. როგორც ქალაქის მერს, თბილისში მცხოვრებ ადამიანს ძალიან მიხარია, რომ ჩვენი დედაქალაქისთვის მსგავსი პროექტი ხორციელდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

პარკის მოწყობის პროექტში საპარკინგე ადგილის ფართი შემცირდა და მის ადგილზე, 5 937 კვადრატულ მეტრ ფართობზე, დაგეგმილია გამწვანებული სივრცეებისა და ჩოგბურთის სპორტული მოედნის მოწყობა. პარკში 440 ადგილის ნაცვლად, 245 საპარკინგე ადგილი დარჩება.

დიდოსტატის ახალი წიგნი

⑦

„ელის გაგლეჯამდე ჭეიოდა მამალი“...

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პირობის შესასრულებლად 5 სამუშაო ჯგუფი შეიქმნა

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მისანიჭებლად განსახორციელებელი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ჯგუფები შექმნა.

კომიტეტში შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი: „დეოლიგარქიზაციის“ საკითხზე კანონპროექტის შემუშავების, სასამართლო რეფორმის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის, ანტიკორუფციული ღონისძიებების და სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების.

კომიტეტის თავმჯდომარის, ანრი ოხანაშვილის განცხადებით, კომიტეტი ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების კუთხით ინტენსიურ სამუშაო პროცესზე გადადის.

სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში შედიან ფრაქცია „ქართული ოცნების“ და საპარლამენტო ოპოზიციის წევრები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების (აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის) და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირები.

საპარლამენტო ოპოზიციიდან სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ: „მოქალაქეების“, „ევროპელი სოციალისტების“ და, „გირჩის“ წარმომადგენლები, ასევე, უფრაქციო პარლამენტის წევრები. ანრი ოხანაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლები, მათ მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად, მონიტორინგს გაუწევენ სამუშაო ჯგუფების საქმიანობას. მისი თქმით, სურვილის შემთხვევაში, პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა, ასევე, ექნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს.

ვინ იქნება ახალი ომბუდსმენი?

მმართველი გუნდი 1 სექტემბრამდე ოპოზიციას შესთავაზებს პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ომბუდსმენად არჩეული იყოს პირი, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება, როგორც უმრავლესობისთვის, ასევე ოპოზიციისთვის.

„ქართულ ოცნებაში“ უკვე განაცხადეს, რომ მთავრობა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვერ მიიღებს და რომ ომბუდსმენის პოსტზე კანდიდატის არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ოპოზიციასთან ერთად უნდა იყოს მიღებული. ოპოზიციაში კი აცხადებენ, რომ მმართველ გუნდს ექნება მცდელობა, სახალხო დამცველად საკუთარი კანდიდატი აირჩიოს. სახალხო დამცველის ასარჩევად 90 დეპუტატის ხმაა საჭირო, ამიტომ მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ხმები საკმარისი არ იქნება.

ეკა გიგაურს პირდაპირი მოწოდება ჰქონდა ომისკენ!

„ძართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დირექტორს, ეკა გიგაურს „პირდაპირი მოწოდება ჰქონდა ომისკენ“.

ირაკლი კობახიძე ამ განცხადებით გამოეხმაურა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დღეს გამოქვეყნებულ კვლევას, რომლის თანახმადაც საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება იზრდება.

„გიგაურს რაც შეეხება, ეს არის ის ადამიანი, რომელმაც განაცხადა შემდეგი: რუსეთი ყველგან ვერ იომებს და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობის ფანჯარა. ეს იყო გიგაური და ასეთ დროს თითის გაშვერა სხვებისკენ არის უბრალოდ წარმოუდგენელი. პირდაპირი მოწოდება ჰქონდა მას ომისკენ. რას ემსახურება ეს ადამიანი ყველა ძალიან კარგად ხედავს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყველა გაემიჯნოს გიგაურის ნებისმიერ განცხადებას“, – თქვა კობახიძემ.

ირაკლი კობახიძე: საქართველოში ქსენოფობიების დრო არ არის!

ეს არის მიზანმიმართული, ქსენოფობიური კამპანია, რომელიც არის აბსოლუტურად სამარცხვინო. არავითარ ნორმებში, არავითარ სტანდარტებში არ ჯდება. ვინმეს თუ უნდა ევროპელობა, ქსენოფობიით ისინი ამას ვერ დაამტკიცებენ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც რუსეთთან სავიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით „ლელოს“ ინიციატივას ეხებოდა.

„მაგალითად, ერთ-ერთმა ტელევიზიამ გამოაცხადა, თითქოს დღეს საქართველოში არსებული რუსი ტურისტების რაოდენობა არის საქართველოს მოსახლეობის 10 პროცენტი, რაც სრული ტყუილია. რეალურად, ერთი პროცენტიც არ იქნება. ჯამში, რაც შემოვიდა საქართველოში, თავის გასულებიანად, ყველაფრიანად, არის 242 000 ადამიანი. ეს არის ქსენოფობიური კამპანია, რომელიც მთლიანად სიცრუეზე არის დაფუძნებული. შეგახსენებთ, წინა ხელისუფლებამ აგვისტოს ომის შემდეგ შემოიღო უვიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის და დღეს იგივე ადამიანები მოგვიწოდებენ, რომ აქ დავაწესოთ შეზღუდვები, სანქციები და ა.შ. ჩვეულებრივი ქსენოფობიაა და რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ქსენოფობიაზე გვექნება მკაცრი პასუხი“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ჩვენ ტურისტებს ეროვნების მიხედვით არ ვარჩევთ!

ბევრი ტურისტი არის კარგი და ჩვენ ტურისტებს ეროვნების მიხედვით არ ვარჩევთ, – ასე ეხმიანება ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევას, რომლის თანახმადაც საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება იზრდება.

„რაც შეეხება (რუსეთთან) დამოკიდებულებას, არანაირი არსებითი ცვლილება არ არის და არც ტურისტი არ არის იმდენი, რომ საგანგაშო იყოს, თან ტურისტია. როდესაც ფეიკები ვრცელდება, რომ საქართველოს მოსახლეობის 10% არის რუსების სახით შემოსული, ჯერ ერთი, 10% არ შემოსულა, 7%-ია, ისიც ტურისტული მიზნით და უმრავლესობა გასულია და ბევრად ნაკლებია, ვიდრე წინა წლებში. რუსიც შემოდის ტურისტი, უკრაინელიც, ბელარუსიც, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდანაც და ევროპის ქვეყნებიდანაც და ეს არის ძალიან კარგი. ბევრი ტურისტი არის კარგი და ჩვენ ეროვნებით ტურისტებს არ ვარჩევთ, ეს დაიმახსოვროს ყველამ... ტურისტი, ეკონომიკა არის სხვა სფერო და ის სიბინძურე, რასაც აბრალებენ ამ ქვეყანას, არის აბსოლუტურად სხვა რამე“, – ამბობს მდინარაძე.

სააკაშვილის ფიგურამ



რამაზ საყვარელიძე: დასავლეთი რევოლუციური სცენარებით დაიღალა!

ფსიქოლოგისა და პოლიტოლოგის რამაზ საყვარელიძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების მხრიდან გადაიდგა ნაბიჯი სააკაშვილის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, დაცვის სიმძიმეს გადაიტანენ იმაზე, რომ სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია. მისი თქმით, საინტერესო სიჩუმეა სააკაშვილის მხრიდან და მისი ხასიათიდან გამომდინარე, ამ სიჩუმის ინტერპრეტაცია მხოლოდ მასზე შეიძლება გავრცელდეს, რადგან ხედება, რა შეიძლება მისთვის მომგებიანი ჩანაფიქრი იყოს ამ მანევრში.



– ბატონო რამაზ, ქართული პოლიტიკისთვის მიხეილ სააკაშვილმა აქტუალურობა დაკარგა. პარტია ნელ-ნელა ემიჯნება, მაგრამ ასპარეზზე შემოვიდა ადვოკატების ახალი ჯგუფი ხაჭაპურიძე-გელბახიანის ხელმძღვანელობით, რომლებიც საადვოკატო წრეში ცნობილი არიან ხმაურიანი განცხადებებით. ამჯერადაც ტრადიაცია არ დაარღვიეს და აცხადებენ, რომ სააკაშვილი უარს ამბობს პოლიტიკაზე. თეორიის დონეზე დავუშვათ, რომ უარს ამბობს პოლიტიკაზე, ეს რა კავშირშია მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებთან?

– უაღრესად კონკრეტულად დააყენეთ კითხვა. კრიმინალური წარსულის ადამიანმა რომ ჩაიდინოს დანაშაული და მას მერე, რაც მიუსჯიან, თქვას, რომ ვწყვეტ კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობასო, გამოუშვებს ვინმე ციხიდან? – რა თქმა უნდა, არა. თუ გაწყვეტს ურთიერთობას კრიმინალურ სამყაროსთან კარგია, მაგრამ ეს მის განთავისუფლებასთან არავითარ კავშირში არ არის. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მგონია, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენი ცნობილი ადვოკატები ცდილობენ წამოწიონ მოდელი, რომელსაც, თუკი რაიმე შედეგი მოჰყვა, მერე ადვილად ითქმევა, რომ ე.ი. სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია. ანუ, ხელისუფლების მხრიდან ოდნავ მაინც თუკი გადაიდგა რაიმე ნაბიჯი სააკაშვილის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რა თქმა უნდა, ადვოკატები ბეჯითად დაიწყებენ იმაზე ლაპარაკს, რომ სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია და ამ კუთხით დაყენებენ მერე საკითხს. ამიტომ მგონია, რომ ეს ისეთი მანევრია, რომელიც არ მთავრდება ამ გულუბრყვილო ფრაზით – თავს ანებებს პოლიტიკას. სააკაშვილს ცოტა უფრო შორსმიმავალი მიზნები აქვს.

– ამ შემთხვევაში რა არის მისი შორსმიმავალი მიზნები?

– დაცვის სიმძიმე გადაიტანონ იმაზე, რომ ის პოლიტიკური პატიმარია. თუკი მოახერხებენ, რომ ამ შუალედური ფრაზით რაიმე დათმობაზე წაიყვანონ პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ჩემნაირმა, იურისპრუდენციაში ზედაპირული გამოცდილების მქონე ადამიანმა თუ მივაღწიე ამ ვერსიამდე, ალბათ, უფრო გამოცდილი იურისტები, რომლებიც ემსახურებიან პოლიტიკურ ელიტას, უფრო ადვილად დაინახავენ ამ ტიპის განცხადებების იურიდიულ პერსპექტივებს.

– გასაგებია, რომ ეს არის ხაჭაპურიძე-გელბახიანის სტრატეგია, რომ თითქოს მიდის პოლიტიკიდან, მაგრამ მეორეა სააკაშვილის დუმილი, რომელიც აქტიურად ეხმიანება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ მის პოლიტიკურ მომავალზე განცხადებებს აკეთებენ ადვოკატები. ხაჭაპურიძის განცხადებით სააკაშვილი იმდენად ცუდად არის, რომ სუნი ასდის, გელბახიანი ამბობს, რომ ხელები არ ემორჩილება, ამ დროს მედპერსონალი ამბობს, რომ სააკაშვილის მდგომარეობა არ არის მძიმე. როგორ ხსნით სააკაშვილის ამ უცნაურ დუმილს?

– გეთანხმებით, საინტერესო სიჩუმე არის სააკაშვილის მხრიდან. სააკაშვილი ძალიან საინტერესო პერსონაჟია იმ მხრივ, რომ მას უჭირს იმაზე ლაპარაკი, რაც არ უნდა. რამდენი ხანი გავიდა რაც ხელისუფლებიდან წავიდა და მისი ბაგეებიდან არ მოგვისმენია ისეთი სიტყვები, რომ ჩემი მმართველობის პერიოდში დავუშვი შეცდომა, დავაშავე, ჩემი ბრალია, მო-

მოსკოვთან „პარტნიორობა“:

როგორ ჩანაცვლდა აფხაზეთში იმედი შიშით



როცა მმართველობის დასაწყისში ასლან ბჟანია ვიზიტად მოსკოვში მიემგზავრებოდა ხოლმე, აფხაზური საზოგადოება მის დაბრუნებას იმედით ელოდა — სტრატეგიული პარტნიორი დახმარების გარეშე არ დაგვტოვებს, ამჯერად მაინც დაიწყება ნანატრი განვითარება, რეფორმები, ეკონომიკისა და ცხოვრების დონის ამაღლება, აფხაზეთის სუვერენიტეტი განმტკიცდება, საერთაშორისო აღიარება კი გაფართოვდება. აბა როგორ? — მოსკოვი ხომ დაგვპირდაო?! მაგრამ გავიდა ხანი. ისევე, როგორც ბჟანიამდე, არც ფულია, არც რეფორმები, არც განვითარება, არც კეთილდღეობა, არც საერთაშორისო აღიარება, არც პერსპექტივა. სუვერენიტეტის თვალსაზრისით კი საქმე მთლად ცუდადაა: როგორც გაირკვა, მოგვიწევს, იგი რუსეთს „ვუწილადოთ“ — ისევე, როგორც მიწა, სტრატეგიული ობიექტები, მოქალაქეობა, ბუნებრივი რესურსები — მოკლედ, ყველაფერი, რასაც ჩვენმა სტრატეგიულმა მოკავშირემ დაადგა თვალი.

„არ უწილადებთ? — მოსკოვი დაგსჯითო!“ — გვაშინებს ასლან ბჟანია, რომელიც აფხაზეთის ხარჯზე კრემლის მიმართ სულ უფრო მეტ პირად გულუხვობას იჩენს. მოსახლეობა კი რუსეთის დედაქალაქიდან მის დაბრუნებებს უკვე იმედის ნაცვლად შიშით ელის — „კიდევ რაიმეს ხომ არ მოაწერა ხელი ხალხისგან მალულად და კანონის გვერდის ავლითო?“.

შიშით იყო შეპყრობილი საზოგადოება ახლაც, როცა ჩვენი პრეზიდენტი მოსკოვში სტრატეგიული მოკავშირის წარმომადგენლებს ხვდებოდა. ყველაფერი კვლავ საიდუმლოებითაა მოცული. ოფიციალურად მხოლოდ ის გამოგვიცხადეს, რომ ჩატარდა შეხვედრები უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე დიმიტრი მედვედევთან და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი კოზაკთან, რომ საუბარი შეეხო „ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირებასა“ და „ორმხრივი თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრს“. სულ ესაა, არავითარი დეტალი. მეტის ცოდნა, როგორც ჩანს, გვაწყენდა.

არადა, მოსკოვური შეხვედრების გაცხადებული თემები, რომლებიც ბჟანიას მმართველობის დასაწყისში დამაიმედებლად ჟღერდა, ახლა ხალხში შიშს მხოლოდ ამძაფრებს. მრავალწლიანი პარტნიორობის გამოცდილებამ ხომ უკვე დაგვარწმუნა, რომ “ორმხრივი თანამშრომლობის საკითხთა ფართო წრე“ პრაქტიკაში ვალდებულებების ფართო წრეს ნიშნავს, თანაც არა ორმხრივის, არამედ მხოლოდ აფხაზურის. ხოლო „ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირება“ ბოლო ნაბიჯია ჩვენი სუვერენიტეტის — ანუ არსობრივად, იმ ერთადერთი სარგებლის დაკარგვამდე, რომელიც რუსეთისგან მივიღეთ.

არა, სულაც არ დამვიწყებია მილიონობით რუბლი, რომელიც მოსკოვიდან წლების განმავლობაში აფხაზეთისკენ მოედინებოდა! მაგრამ ვის და რას ხმარდებოდა ეს თანხები? — ჩვენს დამოუკიდებელ განვითარებასა და აფხაზური სახელმწიფოს განმტკიცებას, თუ სტრატეგიული მოკავშირის ადგილობრივი ვასალების პირად ჯიბეებს — რაღა თქმა უნდა, შესაბამისი „ატკატებით“ მათი რუსი „ბოსებისთვის“?

დიახ, რუსული ფული ინახავს აფხაზურ მილიციას, რომელიც არა მართლწესრიგს, არამედ კორუფციას ემსახურება. დიახ, რუსული ფულით მსახურობენ აფხაზურ ჯარში, რომელიც ფაქტობრივად, არც არსებობს, თუ არ ჩავთვლით ფულიჭამია გენერლებს. დიახ, რუსული დოტაციები არჩენს უშიშროების მთელს აპარატს, რომელიც ასევე არ ემსახურება ჩვენი ერის ინტერესებს და ამის ნაცვლად გადასახადების რუსი გადამხდელების ფულს შთანთქავს. დიახ, რუსეთი ინახავს მთელს ჩვენს ხელისუფლებას. მაგრამ ეს კოლაბორაციონისტული ხელისუფლება ემსახურება არა აფხაზი ხალხის, არამედ საკუთარ ინტერესს! საკუთარსა და, რაღა თქმა უნდა, რუსი მფარველებისას, რომლებმაც ამ ყველაფრის შესახებ წლების განმავლობაში არა მარტო იციან, არამედ მდიდრდებიან კიდეც გადასახადების რუსი გადამხდელის ვითომდა „აფხაზეთის განვითარებაში“ ჩადებული ფულით!

აფხაზ ხალხს ამ „ორმხრივი თანამშრომლობით“ არაფერი მიუღია, რუსული ფულის გაუთავებელი დაყვედრების გარდა, ახლა კი ამ „სიკეთეს“ ყველაფრის დაკარგვის რეალური საფრთხეც დაემატა. რუსეთისთვის პენსიებისა და შემწეობების ბიჭვინთით გასტუმრებას უკვე დღეს გვაიძულებენ. მაგრამ ბიჭვინთას ვჩივით? სანამ რუსეთის საკუთრებაში 301 ჰა ტერიტორიის გადაცემაზე ვწუწუნებთ, სტრატეგიული მოკავშირე უკვე გაცილებით მეტზე აცხადებს პრეტენზიას — ჩვენი სახელმწიფო საზღვრისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე!

იხ. 5 გვ.

ახალი ამბავი ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის გამო

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატმა ე.წ. პარლამენტს უკან დაუბრუნა ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის რუსეთისთვის გადაცემის შეთანხმების მასალები. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.

კერძოდ, ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული „შეთანხმების“ ე.წ. კონსტიტუციასთან შესაბამისობა უნდა შეემოწმებინა. აპარატმა დაადგინა, რომ დე ფაქტო პარლამენტის მოთხოვნა ფორმით არ შეესაბამება საკონსტიტუციო იურისდიქციის შესახებ აფხაზეთის ე.წ. კოდექსს. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტის რუსეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ „შეთანხმებას“ მოსკოვში 2022 წლის იანვარში მოეწერა ხელი, თუმცა ის ძალაში ჯერ არ შესულა, რადგან აფხაზეთის ე.წ. პარლამენტს მისი რატიფიცირება ჯერ არ მოუხდენია. საუბარია ბიჭვინთაში 184 ჰექტარის ფართობის მიწაზე არსებულ აგარაკზე, რომელსაც დაცული ტერიტორიის სტატუსი აქვს და რომლის რუსეთისთვის გადაცემასაც საოკუპაციო რეჟიმი გეგმავს.

ფუნქცია დაკარგა!

ნანიება მინდა და ა.შ. ვერ ამბობს ასეთ რამეს.

— რომ ვერ ამბობს, ესეც ხომ არ ადასტურებს იმას, რამდენად არასანდოა როგორც პიროვნება?

— თუკი გაშიფრავთ სააკაშვილის სტილს, ძალიან ადვილად იკითხება მისი გადაწყვეტილება. შვილიდან მოყოლებული იძახიან, რომ პოლიტიკას თავს ანებებსო, მაგრამ, როგორც ჩანს, არ უნდა იმ კაცს პოლიტიკისთვის თავის დანებება და ჩუმად ამიტომ არის. სააკაშვილის ხასიათიდან გამომდინარე, ამ სიჩუმის ინტერპრეტაცია მხოლოდ მასზე შეიძლება გავრცელდეს. ხვდება, რა შეიძლება მისთვის მომგებიანი ჩანაფიქრი იყოს ამ მანევრში, მაგრამ ენა არ უტრიალდება თქვას, რომ პოლიტიკას თავს ვანებებო და მოკალი თუ გინდა. სააკაშვილი ვერ დაანებებს თავს პოლიტიკას.

— სააკაშვილს აქვს ის ავტორიტეტი და წონა ქართულ პოლიტიკაში, რომ მისმა პოლიტიკიდან წასვლამ რაიმე გავლენა მოახდინოს?

— პოლიტიკიდან გასვლა აქტუალური საკითხი გახდა დეოლიგარქიზაციის თემასთან დაკავშირებით. როგორ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ადამიანი გავიდა პოლიტიკიდან? აი, ახლა იძახიან, რომ ივანიშვილი გავიდეს პოლიტიკიდან, მაგრამ როგორ უნდა გავიდეს, როდესაც გასულია? თანამდებობა მას არ აქვს, განცხადებებსაც კი არ აკეთებს. თქვენ ბრძანეთ, რომ სააკაშვილი ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში განცხადებას აკეთებსო. ივანიშვილი განცხადებასაც არ აკეთებს და ძნელი სათქმელია, როგორ უნდა გაიყვანონ პოლიტიკიდან ისე, რომ მისი გავლენა პოლიტიკაზე აღმოჩნდეს მინიმალური.

ვერანაირი ნორმალური საშუალებით პოლიტიკოსს ვერ გაიყვან პოლიტიკიდან, თუ, რა თქმა უნდა, არ დახვრიტავ. მის სიტყვას პოლიტიკისთვის ყოველთვის ექნება რაღაცა წონა. გასული იყო პოლიტიკიდან მანდელა და იყო 27 წელი ციხეში, ამითი აწია მანდელამ თავისი პოლიტიკური წონა და გავლენა. მაგრამ, მიშას ციხეში ჯდომა არ უნდა, არ შეუძლია. სააკაშვილი თავისთავად კარგავს გავლენას ისე, როგორც კოვიდი, იფიტება უკვე, მისი მომხრეებიც კი ვერ იკრიბებიან ციხესთან, თუ საავადმყოფოსთან. თვითონ პარტიის წევრებისთვისაც დიდად საინტერესო და მისაღები იქამდეც არ იყო მიშა, როცა ითვლებოდა, რომ წყალი არ გაუვიდოდა მის მოწოდებებს, როცა მიაჩნდათ, რომ ადეკვატური იყო. როცა თვითონ მიშას გარემოცვა ამბობს, რომ არაადეკვატურიაო, არაადეკვატური ადამიანის ტარება რომელ პარტიას აძლევს ხელს?! რამე ფიზიკური დაზიანება რომ ჰქონდეს, კიდევ გასაგებია, მაგრამ ფსიქიკური დაზიანებით პოლიტიკური პარტია ადამიანს ვერ იტანს, მით უმეტეს ლიდერის როლში. ამიტომ, ეს ჯგუფი თვითონ შედგა ამ გზაზე, იძახეს არადეკვატურია და მიშაც იმდენი ალაპარაკეს, რომ ხალხიც მიხვდა, რომ არაადეკვატურია. ახლა, მისი გავლენის აღდგენა პოლიტიკაზე ძალიან ძნელია, თუმცა მის ქარიზმაზე შეყვარებულ ჯგუფზე გავლენა ყოველთვის ექნება, სულ რომ ხმა არ ამოიღოს. გაიხსენეთ ზვიადის მომხრეები, გარდაცვილი იყო ზვიადი და მისი მომხრეები მის ამოსვლას ელოდნენ რუსთაველის მეტორსთან. ეს არის გავლენა? — არის გავლენა!..

— მაგრამ რა გავლენაა?

— იმ იდეის გავლენაა, რაც მასში ჩადეს მისმა გულშემატკივრებმა, რომ ის მოვა და უხელმძღვანელებს საქართველოსთვის ბრძოლას. ღმერთმა დიდხანს ამყოფოს, შეიძლება საერთოდ ხმა არ ამოიღოს, მაგრამ მისმა ახლობლებმა მისი სახელით, მისი ფიქრების გაშიფვრის გახმაურება დაიწყონ, ისევე, როგორც პოლიტიკიდან გასვლის შესახებ იდეა მისი ახლობლებისგან მოდის. ჯერ შვილი და მერე ადვოკატები იძახიან, რომ პოლიტიკას თავს ანებებსო. თვითონ მიშა არ ამბობს ამას. ანალოგიური მოვლენები ბევრი შეიძლება ახლდეს მიშას ფიგურას იმიტომ, რომ მასზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანები საკმაოდ არიან საქართველოში.

— როგორც ჩანს, სააკაშვილმა, როგორც პოლიტიკოსმა და მისმა პატიმრობის თემამ აქტუალობა დაკარგა საერთაშორისო დონეზე. სააკაშვილი აღარ არის აქტუალური არა მარტო მისი პარტიისთვის, არამედ იგივე სურათი გვაქვს საერთაშორისო მიმართულებითაც. ფიქრობთ, რომ დაიღალა როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო საზოგადოება სააკაშვილით?

— მეც მეჩვენება, რომ აქტუალურობა დაკარგა სააკაშვილის თემამ. დაიღალა, რა თქმა უნდა, საზოგადოება იმიტომ, რომ სააკაშვილი ნამდვილად არის დამღლელი პიროვნება. მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი რამ ხდება — გარდა პერსონალურად სააკაშვილისა, უცხოეთი დაიღალა რევოლუციური სცენარებით. აღარ არის რევოლუციური სცენარები იმათ დღის წესრიგში. ერთი პერიოდი მოდაში იყო ფერადი რევოლუციები, რასაც გარკვეული პოლიტიკური ფუნქციები და შედეგი ჰქონდა. ამიტომ ბუში დაინტერესებული იყო საქართველოში რევოლუციით, ისევე როგორც უკრაინაში.

რევოლუციური გზით ხელისუფლებაში მოჰყავდათ მათთვის უფრო მისაღები და სანდო ადამიანები. ახლა უკვე ეს მეთოდი კარგავს აქტუალობას. აქტუალური ხდება ზესახელმწიფოების ურთიერთობა — ამერიკა-ჩინეთი-რუსეთი, ესენი ებრძვიან ერთმანეთს. აქ უკვე რევოლუციების ადგილი აღარ არის. ხომ ვხედავთ რა ხდება უკრაინაში — იქ სადაც რუსეთი გაივლის, ცოცხალი წერტილი აღარ იძებნება. ასე მიდის სახელმწიფოების ბრძოლა და არა ხავერდოვანი რევოლუციებით. საქართველოს შემთხვევაშიც უცხოელები ხაზს უსვამენ იმას, რომ რევოლუცია არ გვინდა, წყანარად გაყევით ევოლუციურ გზასო. ის, რასაც ბუში აკეთებდა და ამბობდა, რომ რევოლუცია დემოკრატიის შუქურააო, ასეთი დამოკიდებულება რევოლუციის მიმართ უკვე აღარ არის, ამიტომ სააკაშვილის ფიგურამ ფუნქცია დაკარგა უცხოეთისთვის. მე ვლაპარაკობ დასავლეთის უცხოეთზე, რადგან არის კიდევ რუსეთის უცხოეთი, მაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

№111-112. პარასკევი-კვირა, 5-7 აგვისტო, 2022 წელი.

დღევანდელ დასავლეთში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით თვითმარქვია ლიბერალების საძულველი ენით განმსჭვალულ ნააზრევს!

პოლიტიკური მანიპულირების იარაღი

„მსოფლიოს მართავენ ადამიანის უფლებებით მანიპულატორები, ადამიანის უფლებების გაგება სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. ანტიკურ ეპოქაში მონა, ადამიანის ნაცვლად შრომის იარაღად განიხილებოდა.

შუა საუკუნეებში უმრავლესობას არ გააჩნდა სიცოცხლის, კერძო საკუთრების თუ წამებისგან დაცულობის უფლება.

მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე კანის ფერის, სძესისა თუ სოციალური წარმოშობის მიხედვით დისკრიმინაცია იყო მიღებული.

იმ ეპოქებში თვლიდნენ, რომ ეს ღვთისაგან დაწესებული მდგომარეობაა. ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მიხედვით, ადამიანის უფლებები, სწორად იყო დაცული.

მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან კაცობრიობა შეთანხმდა, რომ ყველა ადამიანს გააჩნია სიცოცხლის, თავისუფლების, ხელშეუხებლობის, სამართლიანი სასამართლოს, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, ქორწინების, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებები, აზრის, სინდისის, რელიგიის, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.

დაუშვებელია ნებისმიერი პირის მიმართ წამება, დამონება, იძულებითი შრომა, დისკრიმინაცია და ა. შ., რაც დაფიქსირდა საერთაშორისო დოკუმენტებშიც და ყველა ცივილიზებულმა ქვეყანამ აიღო ამ უფლებების დაცვის ვალდებულება.

უფლებათა უმეტესობა ფაქტობრივად ემყარება ქრისტიანულ დოგმებს. ბევრი რამ აღებულია 10 მცნებიდან.

ქრისტიანული ფესვებიდან მოდის იმის აღიარებაც, რომ ღვთისგან ბოძებული ეს უფლებები არ არის განუსაზღვრელი და აბსოლუტური.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სხვა საერთაშორისო ნორმები ითვალისწინებენ უფლებათა და თავისუფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ.

21-ე საუკუნის მეოთხედიც არ გასულა, მაგრამ ამ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში.

მოხდა ადამიანის უფლებათა ინტერპრეტირება, რამაც შესაძლებელი გახადა ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის საფარქვეშ, ტრადიციული ღირებულებებისა და ფასეულობების ფეხქვეშ გათელვა,რომელის დასამკვიდრებლადაც იღვწოდნენ მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ დევნილი ე. წ. ანტისაბჭოთა ელემენტები.

ისინი იბრძოდნენ პიროვნებისა და საქართველოს თავისუფლებისთვის, სიტყვის, გამოხატვის, გადაადგილების, კერძო საკუთრების, პოლიტიკური არჩევნების და სხვა მრავალი თავისუფლებისთვის, რითაც უპირისპირდებოდნენ ტოტალიტალურ სისტემას.

სისტემის დანგრევის შემდეგ, ასპარეზზე გამოსულმა ახალმა ძალებმა ადამიანის უფლებათა ბრძოლის ასპარეზი გადაანაცვლეს საზოგადოებების შიგნით და 21-ე საუკუნის ახლად გამომცხვარმა „უფლებადამცველებმა“ ფრონტის ხაზი გაავლეს ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს შორის დაპირისპირებაზე.

ამ ორ იდეოლოგიას შორის კონკურენცია ისედაც ბუნებრივია, მაგრამ ამ ბრძოლაში ულტრალიბერალებმა ხელში ჩაიგდეს მართვის სადავეები.

ისინი რიცხობრივად უმცირესობაში არიან ნორმალურ ლიბერალებსა და კონსერვატორებთან, მაგრამ სუპერაქტიური და სუპერთავხედური ქმედებებით მიაღწიეს, ქრისტიანულ მორალთან თანხვედრაში მყოფი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, ფსევდოღირებულებებით შეცვლას, რაც პირდაპირ დაუპირისპირდა საზოგადოების უდიდესი ნაწილის რწმენას.

შედეგად მივიღეთ რწმენისაგან დაცლილი შედარებით მცირე, მაგრამ სუპერაქტიური ჯგუფის ინტერესებს დაქვემდებარებული ფსევდო ღირებულებები. ადამიანის უფლებების კეთილშობილური მიზნების მომხმარებლურად მოპყრობის გამო, ისინი ამ ღირებულებებს მხოლოდ თანამოაზარეთა დასაცავად იყენებენ.

ნამდვილი ლიბერალის, ილია ჭავჭავაძის „ენა, მამული, სარწმუნოება“ დაცინვისა და განქიქების საგნად აქციეს. ფსევდოლიბერალები ბოლშევიკებზე მეტი ათეისტები აღმოჩნდნენ.

თუ 100 წლის წინ „სოციალური თანასწორობისა“ და „მსოფლიო იმპერიალიზმისგან ჩაგრული მასების განთავისუფლებისათვის“ მებრძოლები ითვლებოდნენ „პრადვინუტებად“, ხოლო დანარჩენები - „ბნელებად“, „ჩამორჩენილებად“ და „ისტორიის სანაგვეზე გადასაგდებებად“, დღეს კარგ ტონად და „პრადვინუტობად“ ლიბერალური შესედულებების დამახინჯებული ფორმა ითვლება.

თუ შენ არ იზიარებ მათ ნარატივებს, თუ არ ხარ მათი იდეების პროპაგანდისტი, არ მიესალმები აღვირახსნილობას, არ ხარ ლგბტ თემის წარმომადგენელი ან მომწონებელი, ნარკოტიკის მომხმარებელი ან მათი წამხალისებელი, მსოფლიოს მთავარი ცენტრიდან მომავალი ნარატივების და ლოზუნგების გამზმოვანებელი, უპირობოდ და თვალდახუჭულად მათი იდეების პროპაგანდისტი,ისეთივე მიუღებელი, ბნელი, ჩამორჩენილი, დასაბულინგებელი და ჩასარეცხი ხარ, როგორც 100 წლის წინ იყვნენ კომუნიზმის მოწინააღმდეგეები.

ამიტომ შენთვის არ შეიძლება დასაშვები იყოს სიტყვის, გამოხატვის, გადაადგილების, კერძო საკუთრების და სხვა თავისუფლებები.

ის, რასაც ჩვენთვის მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკული ღირებულება ერქვა, დღეს ანტიამერიკულ ღირებულებად არის ქცეული.

ამიტომაც ფსევდოლიბერალურ აშშ-ს ხელისუფალთ არ ეთაკილებათ „დემოკრატიის შუქურა“, დაუძახონ, ქართველი „მამების“ ანტიდემოკრატიულ, სადისტურ რეჟიმს და დღესაც ხელი შეუწყონ მათ რეაბილიტაცი-რეანიმაციას საქართველოში.

21-ე საუკუნის „დემოკრატებისთვის“ საავსებით მისაღებია, თუ მათ მიერ მტრად და მოწინააღმდეგედ მიჩნეულ ნებისმიერ ადამიანს ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე პოლიტიკური ნიშნით ქონებას ჩამოართმევ, გამოხატვის ან გადაადგილების თავისუფლებას შეუზღუდავ, ან უბრალოდ, გაანადგურებ. დღევანდელ დასავლეთშიც ფსევდო ღირებულებები იქცა პოლიტიკური მანიპულირების იარაღად. ამის ნათელი მაგალითია 308 პარლამენტართა სამარცხვინო რეზოლუცია საქართველოს წინააღმდეგ, შარლ მიშელის ანტიკონსტიტუციური შეთანხმება თუ სხვადასხვა ევროპარლამენტართა, ღირებულებებს აცდენილი, მერკანტილურ ინტერესებს მორგებული გამონათქვამები.

ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით თვითმარქვია ლიბერალების სიძულვილის ენით განმსჭვალულ ნააზრევებს სოციალურ ქსელებში და მედიაში, რაც, სამწუხაროდ, მსოფლიო სენია და არა მხოლოდ ქართული. ამ სენით დაავადებული საქართველო და ქართველი ფსევდოლიბერალები, უბრალოდ, ცდილობენ, რომ არ ჩამორჩნენ და მხარი აუბან მსოფლიოს მდინარების მიმართულებას, რათა ვინმემ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა არ დააბრალოს.

როგორც ჩვენი ბრძენი პატრიარქი იტყოდა, იმედია, ესეც გადაივლის და ყველაფერი ღვთიური კანონებით დადგენილ გზას დაუბრუნდება, გზას, რომელსაც თითოეული ადამიანი ღმერთთან მიყავს და არა ეშმაკთან“.

ნანა კაკაბაძე,

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“თავმჯდომარე.

ლიბერასტების უმცირესობა მართავს დასავლეთის უმრავლესობას!..

ამერიკასა და ე.წ. კოლექტიური დასავლეთის ძვეყნებში ნორმალური, ტრადიციული, ძრისტიანული ფესვების მოსახლეობა, ლგბტ-სატანისტებზე ბევრად მეტნი არიან, სამწუხაროდ, ე.წ. სახელისუფლებო სტრუქტურებში უმცირესობაში არიან, რაც ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსია...

მაგრამ თუ ახლოდან დავაკვირდებით, ამ „თითქოსგან“ აღარაფერი დარჩება, როცა დავინახავთ, რომ მათ და მათ მხარდამჭერ ე.წ. არასამთავრობო, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, უშურველად აფინანსებენ სოროსმოროსები; მათი იდეების პროპაგანდა-აგიტაციას ემსახურებიან ტელევიზიები, ჟურნალ-გაზეთები, ჰოლივუდი და ა.შ., რომელი ერთი დავამატო?..

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ისედაც ცხადია, რომ უმცირესობა მართავს უმრავლესობას, რაც დასავლური დემოკრატიის მთავარი პოსტულატის – „უმრავლესობამ უნდა მართოს უმცირესობა“, რბილად, რომ ვთქვათ, უხეში იგნორია. ხოლო თუ იგივე მწარე სიმართლეს ბოლომდე და შეულამაზებული ლექსიკით ვიტყვით, სიცოცხლე აღარ მოგინდება: პედერასტების უმცირესობა მართავს, კაცების უმრავლესობას!

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რომ წარმოიდგენ, თუ რა ძალები დაამარცხა 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა, უნებურად ტანში ჟრუანტელი გივლის...

თითქმის იგივე გრძნობა დამეუფლა მას შემდეგ, რაც 308 ევროპარლამენტარის მიერ საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციის მიღების შემდეგ, რომლის შენიღბული რეალური მიზეზი საქართველოში მეორე ფრონტის ვერ გახსნა იყო, ირაკლი ღარიბაშვილმა ევროჩინოვნიკებს ვაჟკაცურად მიახალა – **„ევროპარლამენტარი არ არის ჩემი უფროსი, ჩვენი უფროსია ქართველი ხალხი“...**

კელი დენგანის „საიდუმლო სერობის“ შემდეგ ბიძინა ივანიშვილთან (ა.წ. 21 მარტს), ადვილი წარმოსადგენია, თუ რამხელა უშედეგო ზეწოლა იქნებოდა კახურად ჯიუტ საქართველოს პრემიერზე, ოკეანის გაღმა-გამოღმა საქართველოს „სტრატეგიულ მოკავშირეთაგან“ თუ შინაურ „შადიმანთა V კოლონისგან“ – კაპიტან ეკა გიგაურის, ეფრეიტორ ნინო ლომჯარიას და საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის შემადგენლობით. სწორედ საქართველოს პრემიერზე უშედეგო ზეწოლის გამო გადადგეს ზემოთ ხსენებულმა არამკითხეებმა სარისკო ნაბიჯი.

სარისკო, რადგან საქართველოში თივაში ნემსი უფრო ადვილად დაიმალება, ვიდრე კელი დენგანის „საიდუმლო სერობა“, პოლიტიკიდან დიდი ხნის წასულ, ანუ, კერძო პირ ბიძინა ივანიშვილთან, რაც ყოველივე ზემოთ თქმულის თუ მომხდარის გარეშეც, პოლიტიკური სკანდალის საბაბია – აშშ-ს ელჩი საქართველოში საიდუმლო ვიზიტით მიდის ოლიგარქობაში ეჭვმიტანილ ბიძინა ივანიშვილთან. თანაც იმ ფონზე, რომ ე.წ. 12-პუნქტიანი „საშინაო დავალების“ პირველივე პუნქტი, ქვეყნის დეოლიგარქიული მმართველობის დაუშვებლობაზე ღაღადებს და უფრო მეტიც, ქვეყნის ნომერ პირველ ოლიგარქად, სწორედ კელი დეგნანის მასპინძელი, ბიძინა ივანიშვილი მოიაზრება...

ამაზე მეტი დიპლომატიურ-პოლიტიკური სკანდალი გაგონილა?!

ამიტომაც ამ სკანდალის შემდეგ აშშ-ს ელჩი არსად გამოჩენლა და დუმს. მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, როცა დუმილი ოქროა, არამედ ის, რომ „დუმილი რეკავს“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება ოცნებიდან „გასული“ სამეულის მეშვეობით, ან „ტროიკის“ გარეშეც დაწვრილებით შეიტყობს იმასაც, თუ რაზე ისაუბრეს 3 საათის განმავლობაში აშშ-ს ელჩმა კელი დეგნანმა და „ოლიგარქმა“ ბიძინა ივანიშვილმა, რადგანაც ზემოთ ხსენებული თივისა და ნემსის არ იყოს, არც ხალთაში იმალება შუბი.

ის საკენკი კი, რომლის მიხედვითაც კელიმ და ბიძინამ 3 საათი აშშ-საქართველოს მომავალ სტრატეგიულ ურთიერთობებზე ისაუბრეს, კელი დეგნანმა თავის ნამდვილ, ლიბერასტ მოკავშირეებს დაუყაროს...

რაც შეეხება უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-რუსეთს შორის მიმდინარე ომს. როგორც ჩანს მართლაც უკანასკნელ უკრაინელამდე გასტანს.

დღეს ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ 24 თებერვლის შემდეგ, ანუ როცა რუსეთმა დონეცკ-ლუგანსკის დასაცავად, სპეც ოპერაცია დაიწყო. მსოფლიო აღარასოდეს გახდება ისეთი, როგორიც მანამდე, გნებავთ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც სტალინ-რუზველტ-ჩერჩილის დიდებულმა სამეულმა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე, ქვეყნებს შორის საზღვრები დაადგინეს.

აქედან, ბუნებრივი კითხვა – ვინ დაიწყო პირველმა გიგანტი პოლიტიკოსების მიერ იალტაში დადგენილი საზღვრების გადახედვა?

აშშ-მ ხომ არა, რომელმაც ისარგებლა სსრკ-ს მოღალატეობრივი დაშლის გამო რუსეთის, დროებითი სისუსტით, რომელიც იმავე დროს ჩეჩნეთის ტერორისტებთან სამოქალაქო ომის ხანძარში იწვოდა. ნატოს (წაიკითხე, აშშ) ავიაციამ 45 დღეღამის განმავლობაში, უწყვეტი დაბომბვებით მიწასთან გაასწორა რუსეთის ერთმორწმუნე სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი, რომელიც დანარჩენი ერთიანი იუგოსლავიის დედაქალაქიც იყო და ბროს ტიტოს მიერ აყვავებული იუგოსლავია, რამდენიმე „დამოუკიდებელ“ აშშ-ს ვასალ სახელმწიფოებად დაშალა – აღარაფერს ვიტყვი კოსოვოს პრეზიდენტზე, რომელმაც სოხუმ-ცხინვალი დე-იურედაც დაგვაკარგვინა.

იმედს ვიტოვებ, რომ, როგორც მთელი მსოფლიო, არც საქართველო იქნება იგივე, როგორიც ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებამდე, აშშ-ს ნების უსიტყვოდ შემსრულებელი მონა იყო...

დავით მხეიძე

P.S. **ამას წინათ, შემთხვევით ტელე-ობიექტივში, პარტია ალტერნატივა გერმანიისთვის, ერთ-ერთი ლიდერის,შტეფან კოენინგერის გამოსვლას ვუყურე გერმანიის ბუნდესტაგში,. რომელიც აშკარად დამცინავი ეპითეტებით ამკობდა ლგბტ-პედერასტებს და მათგან შობილ სხვა გენდერებს – ღრმად პატივცემულო პედერასტებო, პატივცემულო ლესბოსელებო, ღრმად პატივცემულო გეებო, კიდევ უფრო პატივცემულო კაცებო, რომლებსაც ქალობა გინდათ და პრიქით. მოკლედ, ამ ცინიზმის მოყოლა, რომელიც 2-3 წუთი მიმდინარეობდა, თითქმის შეუძლებელია, ეს უდა ნახო. როდესაც სხდომის წამყანმა დეპუტატი შეაჩერა, კითხვა დასვითო, შტეფანმა მიუგო, ჯერ გარყვნილთა მიმართ მისალმება არ დამიმთავრებიაო და გააგრძელა მათი დაცინვა. ხოლო ეს პოლიტიკური პერფორმანსი ასე დაასრულა – პარტია, ალტერნატივა გერმანიისთვის თქვენ ხმას არ მოგცემთო.**

ასე რომ, მგონი ძველი, ნამდვილი ევროპაც ნელნელა იღვიძებს და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ლგბტ-პედერასტებს პრივილეგიებს ჩამოვართმევთ და გეი პარადებით ვეღარ გარყვნიან ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

დ. ბ.

მოსკოვთან „პარტნიორობა“:

როგორ ჩანაცვლდა აფხაზეთში იმედი შიშით

(მესამე გვერდიდან)

და რა პოზიცია აქვს ამ დროს ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც მოსკოვში მორიგ შეხვედრებს მართავს? იგი არათუ თანახმაა, არამედ ჩვენც გვარწმუნებს „აუცილებლობაში“, ნებაყოფლობით ვთქვათ უარი საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე! „ასლან ბჟანიამ მხოლოდ რეალური მდგომარეობის კონსტატაცია მოახდინა: იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომელთა გამოც სუვერენულ აფხაზურ სახელმწიფოს ამჟამად შესაძლებლობა არ აქვს, დამოუკიდებლად სრულად დაიცვას საკუთარი საზღვრები, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელმაც მიზეზთა გამო არ მოგვცა შესაძლებლობა, აბსოლუტურად სუვერენული სახელმწიფო აგვეშენებინა, პრეზიდენტი აუცილებლად მიიჩნევს თანამშრომლობას ჩვენს ერთადერთ სტრატეგიულ მოკავშირესთან – რუსეთის ფედერციასთან და ინტეგრაციას იმ სფეროებში, რომლებშიც აფხაზეთის რესპუბლიკას არ აქვს შესაძლებლობა, თვითკმარ სახელმწიფოდ იქცეს“ – „განგვიმარტა“ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ.

ანუ, არსობრივად, ჩვენი ხელისუფლება ხელებს ასავსავებს: არ გამოგვივიდა სახელმწიფოს მშენებლობა და რა გაეწყობა, დაკავდეს ჩვენით ის სახელმწიფო, რომელსაც ეს უკეთ გამოსდისო.

კი, მაგრამ მიზეზი რაში მდგომარეობს? ვინ და რამ შეგვიშალა ხელი, სუვერენული აფხაზური სახელმწიფო აგვეშენებინა? თავად ასლან ბჟანიამ და მისმა წინამორბედებმა ხომ არა, რომლებსაც მონაცვლეობით გაუთავებლად გადააქვთ ერთმანეთზე პასუხისგებლობა?! მახსოვს, იგივე ბჟანია ოპოზიციის ლიდერობის პერიოდში სასტიკად აკრიტიკებდა რუსეთთან 2014 წლის ჩარჩოშეთანხმებას, რომელსაც დღეს თავად ეყრდნობა მოსკოვთან ახალი კაბალური შეთანხმებების გაფორმებისას! თავის მხრივ, ამჟამინდელმა ოპოზიციამ, რომელიც დღეს ნებისმიერი საბაბით ლანძღავს პრეზიდენტს, მაგრამ თავის დროზე – ხელისუფლებაში ყოფნისას ზუსტად იგივეს აკეთებდა, სულ რაღაც ერთი წლის წინ საშუალება არ მისცა ასლან ბჟანიას, საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ჩამოყალიბებისკენ განეგრძო სვლა. არადა, მაშინ ხომ ხსენებაც კი არ იყო „საქართველოსთვის სუვერენიტეტის განაწილების“! ვინ იცის, ის თანამშრომლობა რომ დაწყებულიყო, ეგებ დღეს სულ სხვაგვარად ყოფილიყო საქმე და გვქონოდა რაიმე, რითაც წინააღმდეგობას გავუწევდით ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე რუსეთის შემოტევებს.

ყოველი მორიგი არჩევნების წინ ჩვენი კანდიდატები მოსკოვში დადიოდნენ, სპონსორებს – იქაურ მაღალჩინოსნებს ხვდებოდნენ და თავის მომსახურებას სთავაზობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებში. ამასთანავე, ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს რუსეთში საკუთარი ბიზნესი ჰქონდათ. ამიტომაც უწყობდნენ ხელს რუს პარტნიორებს, რომელთაც აფხაზეთში ჩვენი ეროვნული ინტერესების საზიანო ახალ-ახალი შეთანხმებების „გათრევა“ სურდათ. ამაში მდგომარეობდა, რეალურად, წლების განმავლობაში „ორმხრივი თანამშრომლობა“, „პარტნიორობა“, მერე კი „მოკავშირეობაც“. სწორედ ასე მოვედით იმ სავალალო მდგომარეობამდე, რომელშიც საბოლოოდ აღმოვჩნდით.

> **დღეს, როცა ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასასრული ახლოა, როგორც არასდროს, მიზეზების გაცნობიერება პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს – სხვა შემთხვევაში ჩიხიდან გამოსავალს ვერ ვიპოვით და თავს ვერ გადავირჩენთ. მხოლოდ ხელისუფლებების ცვლა რომ გამოსავალი არაა – ამაში არაერთგზის დავრწმუნდით. საჭიროა რადიკალური და არა კოსმეტიკური ცვლილებები. უნდა შეიცვალოს მთლიანად სისტემა, საბჭოური აზროვნება და მიდგომები, რომლებიც სრულიად შეუთავსებელია რეფორმებსა და ცვლილებებთან.**
>
> **და უნდა დავივიწყოთ ფიქრიც კი კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე რუსულთან. ეს უკანასკნელი ხომ საბჭოურის გაუარესებულ, მნიშვნელოვნად გამკაცრებულ ვარიანტს წარმოადგენს და თავად რუს ხალხსაც ართმევს უკეთესი მომავლის იმედს.**
>
> **სხვათა შორის, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში არ ისწრაფვის, სწორედ ამას უკავშირდება. დღევანდელი რუსეთი ნამდვილი საპოლიციო სახელმწიფოა, რომელსაც საკუთარი მოქალაქეები სისტემის მონებად ჰყავს ქცეული. აფხაზი კი უუფლებოდ ვერ იარსებებს. ჩვენი პატარა ამაყი ერი მშვენივრად აცნობიერებს, რომ ასეთ რუსეთში ყოფნა მისთვის სახიფათოა, რომ დღევანდელი რუსეთის შემადგენლობაში იგი უბრალოდ გაქრებას.;**

ინალ არისთავა

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება

ბარისახოლ მიხა არაბულს მზის ახალი პანელები შეუძინეს

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზეისტეჩოში მცხოვრები, 80 წლის მიხა არაბული მოინახულა და საკვები პროდუქტები გადასცა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიხა არაბულის საჭიროებებს გაეცნენ, რის შემდეგაც, მის საცხოვრებელ სახლთან მზის ახალი პანელების დასრულებული სამონტაჟო სამუშაოები მოინახულეს.

„დღეს პირაქეთა ხევსურეთის მკვიდრთან, მიხა არაბულთან ვიმყოფებით. ის გორშელმის ხეობის სოფლების ერთადერთი მუდმივი მცხოვრებია. სამწუხაროდ, უამინდობამ მიხა პაპას მზის პანელები დააზიანა და მათი ახლით ჩანაცვლება გახდა საჭირო. ამიტომაც, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და ჩართულობით და ბიზნესის წარმომადგენლების მხარდაჭერით, შეძენილი და უკვე დამონტაჟებულია მზის ახალი პანელები. შედეგად, ელექტროენერგიის მიწოდება აღდგენილია, ხოლო ამ მხრივ არსებული პირობები – გაუმჯობესებული.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, ვინც მიხა პაპას დასახმარებლად თუნდაც მცირედი წვლილი გაიღო. მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით მომავალშიც კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება“, – განაცხადა დავით ნოზაძემ.

გურია დამსვენებლებს მოვლილი სანაპირო ზოლით ხვდება

გურიის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო ზოლის მოწესრიგებისა და დასუფთავების სამუშაოებისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ 180-მდე ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული. კომპანიამ სანაპირო ზოლის მოვლის სამუშაოების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დამატებით ქვიშის საცრელი 3 სპეციალური მანქანა-დანადგარი (Beach Tech) და 3 ახალი ტრაქტორი შეიძინა.

გრიგოლეთში აღნიშნული სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორ, გიორგი შუხოშვილთან, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ურუშაძესთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერ ალექსანდრე სარიშვილთან ერთად დაათვალიერა. მათ ასევე მოინახულეს ურეკის ნარჩენების გადამტვირთავი სადგური, რომელზეც ამჟამად რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სრულდება ბორჯომის პარკი-სადგერის მონაკვეთის განახლება

ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის 6.5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე განცხადებით, სარეაბილიტაციო მონაკვეთი იწყება ქალაქ ბორჯომის ცენტრალური პარკის შესასვლელიდან, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბორჯომი-ბაღი-ტბა-ცემის საავტომობილო გზის დასაწყისში და სრულდება სოფელ სადგერის ტერიტორიაზე.

„აღნიშნული მონაკვეთი საკურორტო ზონაში გადის და ამ გზაზე საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პროექტის შესაბამისად ხორციელდება, გზის ტექნიკური პარამეტრების გაუმჯობესება, საგზაო სამოსის რეაბილიტაცია, კიუვეტებისა და არსებული ხელოვნური ნაგებობების (მილების, ტროტუარების, სანიაღვრე ქსელის) შეკეთება და ახლების მოწყობა, გზის სავალი ნაწილის გაგანიერება, ადგილობრივ გზებთან მიერთებების და მოსახლეობის ეზოში შესასვლელების ახლიდან მოწყობა, სავალი ნაწილის მონიშვნა, საგზაო ნიშნების და შემოფარგვლის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს ავტომობილების და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო მოძრაობას. განახლებული გზა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აქ მცხოვრები ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობებს“, – აცხადებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტში. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3.4 მლნ. ლარით ფინანსდება.

„ხალდე“ დმანისის თეატრში

დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის – „ხალდე“ პრემიერა, რომელიც თეატრის ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ დადგა, თავისუფალ თეატრში გაიმართა. სპექტაკლის პრემიერას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

„ხალდე“ პირველი სპექტაკლია, რომელიც გიორგი სიხარულიძემ დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ დადგა და ის საუკუნენახევრის წინ ხალდეველების რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყებას ეძღვნება. სვანეთის ერთმა სოფელმა ხალდემ თავისუფლებისთვის ბრძოლაში თავგანწირვის სწორუპოვარი მაგალითი აჩვენა. საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ერის მეხსიერებიდან წაეშალა. სპექტაკლი თანამედროვეობის პერსპექტივიდან წარმოაჩენს თავისუფლებისთვის ბრძოლის სამაგალითო ამბავს.

სპექტაკლში დმანისის თეატრის ახალ დასთან ერთად, მოწვეული მსახიობები – გია აბესალაშვილი (თუმანიშვილის თეატრი) და ლილი ხურითი (სოხუმის თეატრი) მონაწილეობენ. პიესის ავტორია ნინო სადღობელაშვილი; მხატვარი – თეო კუხიანიძე; მუსიკალური გაფორმება – ანა მურღულია.

როგორც ცნობილია, დმანისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი გიორგი სიხარულიძე კულტურის მინისტრის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 8 თებერვალს დაინიშნა. სამხატვრო ხელმძღვანელის შერჩევისას სამინისტრომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მრავალი წლის მანძილზე, თეატრს არ გააჩნდა მუდმივი სარგებლობისთვის განკუთვნილი შენობა, არ ჰყავდა მუდმივმოქმედი დასი და ტექნიკური პერსონალი, თეატრის წლიური ბიუჯეტი კი 26 000 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

სწორედ გიორგი სიხარულიძესთან თანამშრომლობით, სამინისტრო აქტიურად მუშაობს თეატრის წინაშე მდგარი გამოწვევების აღმოფხვრაზე. კერძოდ, თეატრის ბიუჯეტი გაიზარდა და შეადგინა 408 462 ლარი, ახალგაზრდა მსახიობებისგან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი დასი, თეატრს გამოეყო დაფინანსება სადადგმო ხარჯისათვის, მიმდინარეობს მუშაობა შენობის რეკონსტრუქციისათვის.

1. რუსეთი ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოდანაც გარიცხეს!

ყველას კარგად გვახსოვს ნატოს გენერალური მდივნის ცნობილი გამონათქვამი: პუტინს უნდოდა ნაკლები ნატო, მაგრამ ახლა ის იღებს მეტ ნატოს. იენს სტოლტენბერგის ამ განცხადების ერთგვარ გამოხმაურებად შეიძლება ჩაითვალოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე პოლონეთის პრეზიდენტის გამოსვლა, სადაც მან თქვა, რომ შვედეთის და ფინეთის ნატოში გაწევრების გამო ბალტიის ზღვა, ფაქტობრივად, ნატოს შიდა წყლებად გადაიქცევაო. ანდრუეი დუდას ამ განცხადებას რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ გრუშკომ განაცხადა, რომ პოლონეთის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო ძაბავს ისედაც დაძაბულ ვითარებას, და რომ ნატოს ალიანსში ფინეთისა და შვედეთის გაწევრებით, ბალტიის ზღვის რეგიონი, შესაძლოა, სამხედრო დაპირისპირების ასპარეზად გადაიქცეს. ბალტიის ზღვას ყოველთვის უდიდესი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეგიონის ქვეყნებისთვის. ის ევროპისთვის და, ასევე რუსეთისთვის, მთავარ საზღვაო სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს. ამიტომ, ისტორიულად, ბალტიის ზღვა ყოველთვის იყო, ერთის მხრივ, შესაძლო ურთიერთანამშრომლობის, ხოლო, მეორეს მხრივ, კონფლიქტის წყარო.

ევროპის დიდი ქვეყნები, შვედეთი, გერმანია, პოლონეთი და რუსეთი, გამუდმებით ეცილებოდნენ ერთმანეთს ამ ზღვაზე დომინირებას, რადგან, თუკი აკონტროლებ ბალტიის ზღვას, არა მხოლოდ სკანდინავიის დიდ ნაწილზე, არამედ მთელ ჩრდილოეთ ევროპაზეც გაქვს კონტროლი. საგულისხმოა, რომ ყველა იმპერიის მცდელობა, ბალტიის ზღვაზე სრული კონტროლი მოეპოვებინა, წარუმატებლად დასრულდა. და მაინც, ბალტიის დომინაციის იდეა არსად არ გამქრალა.

თავის დროზე, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რომ ბალტიის ზღვაზე ნატოს ალიანსი არ გამაგრებულიყო. ამაში მას შვედეთისა და ფინეთის ნეიტრალური სტატუსი ეხმარებოდა. საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ქვაკუთხედიც სწორედ ამ ქვეყნების ნეიტრალიტეტზე იყო აგებული. ცივი ომის დროს, ამ რეგიონში საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების გასანეიტრალებლად, ამერიკას მხოლოდ სამი ქვეყნის, გერმანიის, ნორვეგიისა და ინგლისის იმედი ჰქონდა. ჩრდილოეთ ევროპაში, ნატოს ყველაზე ძლიერი საზღვაო სამხედრო ბაზები სწორედ ამ ქვეყნებში იყო განთავსებული.

დღესავით ნათელია, რომ ალიანსში შვედეთისა და ფინეთის მიღებით ნატო მართლაც შეძლებს მთლიანად გაკონტროლოს ეს რეგიონი. ამ ორი ქვეყნის მიღებით ასევე გაძლიერდება ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოება. დღემდე, ნატოს თავის ტკივილს იწვევდა ამ ქვეყნების საჰაერო სივრცის გაკონტროლება. ახლა კი, ეს პრობლემა მოიხსნება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონში სხვა ადგილებიც იწვევს შეშფოთებას, მაგალითად, სუვალკის დერეფანი. ეს დერეფანი ბელარუსს კალინინგრადის ოლქთან აკავშირებს. რუსეთის გადმოსახედიდან, შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრება მისთვის დიდი დარტყმაა. რუსეთ-ნატოს საერთო საზღვარი 1400 კილომეტრით გაიზრდება.

ბალტიის ზღვაში რუსეთს მხოლოდ რამდენიმე ასეული კილომეტრის ნაპირი რჩება: კალინინგრადის ოლქის სანაპირო და ფინეთის ყურის ნაწილი სანკტ-პეტერბურგის ოლქით. რუსეთის თითქმის მთელი ტერიტორია ნატოს ქვეყნებით იქნება გარშემორტყმული. ეს კი, მას დიდ სტრატეგიულ პრობლემებს შეუქმნის. ნატოს საპასუხოდ, რუსეთს ამ ქვეყნების მეზობელი რუსული ოლქების სამხედრო ძალებით გაძლიერება მოუწევს, რაც ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. როგორც რუსეთის ოპოზიციური გაზეთი **„ნოვაია გაზეტა“** იუწყება, საბჭოთა კავშირის ბოლო პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა უკრაინის ომსა და შვედეთ-ფინეთის ნატოში გაწევრიანებაზე ასეთი მოკლე კომენტარი გააკეთა: ეს ომი დიდი ტრაგედიაა, მაგრამ ყველაზე დიდი ტრაგედია ის არის, რომ რუსეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა ვერ ხვდება, რა საბედისწერო შეცდომას უშვებს. მთელი ჩემი და სხვა საბჭოთა პოლიტიკოსების ნაშრომი წყალში ჩაიყარაო. რუსეთმა დარტყმა მიიღო არა მხოლოდ ბალტიის ზღვაში ნატოს ძალების გაბატონების პერსპექტივის გამო, მან ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებშიც იწვნია მარცხი. უკრაინაში აგრესიის გამო, რუსეთი ბალტიის ზღვის ქვეყნების საბჭოდან გარიცხეს. ეს ორგანიზაცია ბალტიის ზღვის რეგიონის ყველა ქვეყანას აერთიანებს და ჰუმანიტარული, ეკოლოგიური და ეკონომიკური საკითხების გარჩევის პლატფორმას წარმოადგენს...

ახლა კი, რუსეთი ამ პლატფორმას გამოეთიშება. რუსეთის სტიგმატიზაციით ყველაზე მეტად პოლონეთი ხეირობს, რადგან ყველა რუსული პროექტი დაბლოკილია. პოლონეთის ინტერესები ამ რეგიონში მსხვილი ეკონომიკური და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მშენებარე პოლონურ-დანიური გაზსადენიBaltic Pipe, რომელიც ნორვეგიის გაზის გადამცემ ქსელთან და სვინოუსციეს ტერმინალთანაა დაკავშირებული. საგარეო თუ საშინაო გამოწვევების ფონზე, სკანდინავიისა და პოლონეთის დაახლოება სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი პროცესია, რომელსაც სამომავლოდ კიდევ ერთი ორგანიზაცია „სამი ზღვის ინიციატივა“ გაუმაგრებს ზურგს. ადრიატიკის, ბალტიისა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ღერძი სწორედ ვარშავაზე გადის, რომლის მხარდამჭერებიც ოფიციალურ ვაშინგტონშიც მრავლად არიან. ეს ყველაფერი კი, პოლონეთის ჩრდილოურ ალიანსს აძლიერებს. საპასუხოდ, რუსეთს მხოლოდ მილიტარიზაცია და ცივი კედლის აშენება დარჩენია.

რუსეთის იმპერატორმა, პეტრე პირველმა, ბალტიის ზღვაზე გაბატონებით ევროპას რუსეთის იმპერია აღიარებინა, როგორც ევროპის ნაწილი. ახლა კი, იზოლირებული რუსეთი თავის გავლენას ამ რეგიონში, როგორც ჩანს, ნელ-ნელა ემშვიდობება...

2. ეგზოტიკური ინდონეზია ცხოვრობს დევიზით: ათასი მეგობარი, არცერთი მტერი!

ინდონეზია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური და უჩვეულო ქვეყანაა. ის 17,508 კუნძულისგან შემდგარი არქიპელაგი და მსოფლიოში მეოთხე ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა, სადაც, ბოლო მონაცემებით, 276 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ქვეყანამ დამოუკიდებლობა მხოლოდ 1945 წელს მოიპოვა. მანამდე, ის იაპონიისა და ნიდერლანდების კოლონია იყო. ინდონეზიაში სიღარიბეს ღრმად და მყარად აქვს გადგმული ფესვი, მაგრამ ბოლო წლებში გატარებული რეფორმების წყალობით, განვითარებად სახელმწიფოებს შორის, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და თანამედროვე ქვეყანაა. ის დიდი ოცეულის წევრი სახელმწიფოა.

სახელი ინდონეზიამ ტურიზმით გაითქვა. მილიონობით ადამიანი ნატრობს მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კუნძულ ბალიზე დასვენებას. ინდონეზიის რესპუბლიკას სათავეში პრეზიდენტი უდგას, რომელსაც ხუთწლიანი ვადით ირჩევენ ხოლმე. სახელწიფოს ახლანდელი მეთაური 61 წლის ჯოკო ვიდოდოა, იგივე ჯოკოვი. ამ მოკლე ზედსახელით მოიხსენიებენ მას მედიაში. მისი ბიოგრაფია, ერთგვარად, ზღაპრის სიუჟეტს მოგვაგონებს, სადაც ღარიბი ბიჭუნა თავისი გონებისა და მიზანსწრაფულობის წყალობით, ქვეყნის გაბედული და კეთილი მმართველი ხდება. ჯოკოვი დურგლის ოჯახში, 1961 წელს, ქალაქ სურაკარტაში დაიბადა.

ბავშვობაში მულიონო ერქვა. პატარა რომ იყო, თურმე, ხშირად ავადმყოფობდა. მშობლებმა სახელი შეუცვალეს და ჯოკო ვიდოდო დაარქვეს, რაც იავურ ენაზე ჯანმრთელს ნიშნავს. ჯოკო ვიდოდოს სამი და-ძმა ჰყავს, რომელთა შორის ის ყველაზე დიდია ასაკით. ოჯახს უჭირდა და ბავშვი 12 წლიდან მუშაობდა პურის ფულის მოსაპოვებლად. ჯერ გამყიდველი იყო, მერე მტვირთავი და, ბოლოს, დურგალი გახდა. უმაღლესში სწავლაც სადურგლო საქმეს დაუკავშირა. მან გაჯა-მადას უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტი დაამთავრა. დიპლომი რომ აიღო, ხე-ტყის გადამამუშავებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით, ბიძის კუთვნილ ავეჯის საწარმოში იპოვა სამსახური. 1988 წელს კი, თავადაც გახსნა ავეჯის მწარმოებელი ფირმა.

2002 წელს, ჯოკოვი ინდონეზიის ავეჯის მწარმოებელთა და ხელოსანთა ასოციაციის ფილიალს ჩაუდგა სათავეში. 2005 წელს, თავისი მშობლიური ქალაქის სურაკარტას მერად აირჩიეს. 2012 წლამდე იმუშავა ამ თანამდებობაზე. ის აქტიურად ატარებდა სოციალურ-ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ რეფორმებს. მისი ძალისხმევით, აიკრძალა გარე ვაჭრობა, საგრძნობლად შემცირდა დანაშაულის მაჩვენებელი და ქალაქი მიმზიდველ კულტურულ და ტურისტულ ცენტრად იქცა. მან, ასევე, გააცოცხლა ბლუსუკანის, ანუ სიტყვასიტყვით, ექსპრომტად ვიზიტის, ცნობილი ტრადიცია. ეს არის ქალაქის სხვადასხვა ობიექტზე პირადად და მოულოდნელად მისვლა და მოსახლეობასთან ერთად პრობლემების განხილვა.

2012 წელს, ჯოკო ვიდოდო მსოფლიოს მერების რეიტინგში მესამე ადგილზე გავიდა. იმავე წელს იგი ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტის რეგიონის გუბერნატორად აირჩიეს. მან აქაც არაერთი რეფორმა განახორციელა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა რეგიონის ჯანდაცვის გაუმჯობესების პროგრამა, აშენდა ხშირი წყალდიდობისგან დამცველი ნაგებობები, მთელ რეგიონში განხორციელდა კომპიუტერიზაცია და ონლაინ სერვისებზე გადასვლა. 2014 წელს, ინდონეზიის მემარცხენე დემოკრატიული ბრძოლის პარტიამ ჯოკო ვიდოდო პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა არჩევნებში, რომლის ცნობილმა სახელმა შესაბამისი ეფექტი წარმოშვა ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე. შედეგად, პარტიის რეიტინგი 30 პროცენტით გაიზარდა!

მოგვიანებით, როცა ის პრეზიდენტი გახდა, მისმა პოლიტიკურმა ეფექტმა პოზიტიური გავლენა საფინანსო ბირჟაზეც იქონია. საპრეზიდენტო არჩევნებში კი, ჯოკოვიმ ამომრჩეველთა ხმის 53 პროცენტი მიიღო. ინდონეზიის ისტორიაში ის პირველი პრეზიდენტია, რომელიც არაგავლენიანი ოჯახური წრიდანაა. მოსახლეობაში უსაზღვრო პოპულარობის წყალობით, იგი 2019 წელს ქვეყნის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციისთვის, ჯოკო ვიდოდომ ფართომასშტაბიანი პროექტები წამოიწყო, რომელიც ქვეყანაში ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, ავარიული საცხოვრებელი ფართის დანგრევას და ახლის აშენებას გულისხმობს.

პროექტებმა ოპოზიციის დიდი კრიტიკა გამოიწვია, რადგან ხარჯი იყო დიდი — 200 მილიარდი დოლარი. ჯოკოვის პრეზიდენტობის დროს გაიზარდა ეკონომიკა, შემცირდა ინფლაცია და უმუშევრობა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2014-19 წლებში, ინდონეზიის ეკონომიკის შიდა ბრუნვა 890 მილიარდიდან ერთ ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. პრეზიდენტმა ომი გამოუცხადა ნარკოტრაფიკს, ტერორიზმსა და ექსტრემისტულ ორგანიზაციებს. მისივე თაოსნობით გადაწყდა ინდონეზიის ახალი დედაქალაქის აშენება კუნძულ ბორნეოზე, რომელიც 2024 წელს დასრულდება.

არჩევისთანავე, პრეზიდენტმა საგარეო პოლიტიკის საკუთარი დოქტრინა გაასაჯაროვა, რომლის მიხედვით, ინდონეზია ზღვის ძალად გამოცხადდა, ანუ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება მსოფლიოს საზღვაო და საოკეანო ვაჭრობის ღერძად ქცევა იქნება. ჯოკოვი სწრაფად და დაჟინებით შეუდგა თავისი დოქტრინის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებას. მისი განკარგულებით, გამკაცრდა ინდონეზიის ზღვის აკვატორიის კონტროლი და მეკობრეების დასჯა. ვიდოდოს არჩევამდე, ინდონეზიის საგარეო პოლიტიკის დევიზი იყო: **ათასი მეგობარი და არცერთი მტერი.** პრეზიდენტად რომ აირჩიეს, ბევრს არ სჯეროდა რომ ჯოკოვი საგარეო პოლიტიკას წარმატებით გაართმევდა თავს, მაგრამ პირიქით მოხდა. ის ზუსტად საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უძლიერესი ლიდერი აღმოჩნდა საერთაშორისო არენაზე, და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ქვეყანაში. მან ინდონეზიის სუვერენიტეტის შენარჩუნების სამმხრივი პოლიტიკა გამოაცხადა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ინდონეზიის მოქალაქეთა დაცვასა და ეკონომიკური დიპლომატიის გაძლიერებას გულისხმობს.

ასეთი პოლიტიკის გატარებას ერთგვარი დაძაბულობა მოჰყვა ჩინეთსა და ინდონეზიას შორის, რადგან ჩინეთი სამხრეთ ჩინეთის ზღვას თავისი გავლენის სფეროდ განიხილავს. ჩინეთის ასეთი მიდგომა კი, ინდონეზიისთვის სრულიად მიუღებელია. რუსულ-უკრაინული სამხედრო კონფლიქტის მიმართ, ჯოკოვის ნეიტრალური შეხედულებები აქვს. ის არც რუსეთთან აფუჭებს ურთიერთობას და არც დასავლეთთან, ანუ ცდილობს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური. ინდონეზიას და მის პრეზიდენტს ყველაზე დიდი გამოცდა ახლო მომავალში ელით. მიმდინარე წლის 15-16 ნოემბერს, სწორედ იმ პოპულარულ კუნძულ ბალიზე უნდა ჩატარდეს დიდი ოცეულის შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რომელზეც რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებიც არიან მიწვეული. თუ როგორი წარმატებით ჩაივლის ეს შეხვედრა, ცხადია, ინდონეზიის მეთაურზე დიდად არის დამოკიდებული.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

უკრაინული ჯარი საერთაშორისო ნორმებს არღვევს

უკრაინული ჯარი სკოლებსა და საავადმყოფოებში შეიარაღების განთავსებით და მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენებით საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს, — ამის შესახებ უფლებადაცვითი ორგანიზაცია Amnesty International-ის მოხსენებაშია აღნიშნული.

„დავადასტურეთ შემთხვევები, როდესაც უკრაინული ჯარი არღვევდა სამხედრო სამართლის ნორმებს... თავდაცვის პოზიციაში ყოფნა არ ათავისუფლებს უკრაინელ სამხედროებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ვალდებულებისგან“, — აცხადებს ორგანიზაციის გენერალური მდივანი ანიეს კალამარი.

ომის ხარჯზე გამდიდრება ამორალურია!

გაეროს გენერალურმა მდივანმა ნავთობისა და გაზის კომპანიებს მოუწოდა, ომის ხარჯზე არ გამდიდრდნენ. ანტონიო გუტიერეშის თქმით, ამორალურია, რომ გაზის კომპანიები რეკორდულ შემოსავალს იღებენ ენერგეტიკული კრიზისის გამო, რომელიც ყველაზე ღარიბ ადამიანებს აზარალებს.

გაეროს გენერალურმა მდივანმა მოუწოდა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს, გაზარდონ გადასახადები ნავთობისა და გაზის კომპანიებზე. აღსანიშნავია,რომ ორმა უმსხვილესმა ამერიკულმა ენერგოკომპანიამ „შევრონმა“ და „ექსონ მობილმა“, ასევე ორმა ევროპულმა კომპანიამ „ტოტალმა“ და „შელმა“ 2022 წლის ბოლო კვარტალში 21 მილიარდი დოლარის ოდენობით შემოსავალი მიიღეს, რაც 2021 წლის პირველ კვარტალში მიღებულ შემოსავალს ორჯერ აღემატება.

საერთო ჯამში, ნავთობისა და გაზის კომპანიებმა დაახლოებით 100 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღეს. გუტიერეშმა განაცხადა, რომ ეს „გროტესკული სიხარბეა“.

აშშ და საფრანგეთი თანახმა არიან ფინეთი და შვედეთი ნატოში მიიღონ

შეერთებული შტატების სენატმა ნატოში შვედეთისა და ფინეთის გაწევრების პროტოკოლების რატიფიცირება მოახდინა. შესაბამის რეზოლუციას მხარი დაუჭირა 95-მა სენატორმა. წინააღმდეგი იყო ერთი — რესპუბლიკელი სენატორი ჯოშ ჰოული.

მანამდე, სარატიფიკაციო დოკუმენტი დაამტკიცა კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ. ახლა დოკუმენტს ხელი თეთრი სახლის ლიდერმა, ჯო ბაიდენმა უნდა მოაწეროს და ხელმოწერილი დოკუმენტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაგზავნოს.

* * *

საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ, ეროვნულმა ასამბლეამ ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრების პროტოკოლის ეროვნულ დონეზე რატიფიცირება მოახდინა. მანამდე, პროტოკოლის რატიფიცირება პარლამენტის ზედა პალატამ, სენატმა განახორციელა.

შეგახსენებთ, ფინეთისა და შვედეთის ნატო-ში გაწევრების პროტოკოლის რატიფიცირება უკვე მოახდინეს იტალიამ, ალბანეთმა, ბელგიამ, ბულგარეთმა, კანადამ, ხორვატეთმა, დანიამ, ესტონეთმა, გერმანიამ, ისლანდიამ, ლატვიამ, ლიეტუვამ, ლუქსემბურგმა, მონტენეგრომ, ნიდერლანდებმა, ჩრდილოეთ მაკედონიამ, ნორვეგიამ, პოლონეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, რუმინეთმა, სლოვენიამ. ფინეთისა და შვედეთის ალიანსში გაწევრება საბოლოოდ დასრულდება მას შემდეგ, რაც ყველა წევრი ქვეყნის პარლამენტი პროტოკოლების რატიფიცირებას მოახდენს. ამ პროცესს შესაძლოა ექვსიდან რვა თვემდე დასჭირდეს.

ყოველი ახალი წიგნის დაბადება მეტად მნიშვნელოვანია ავტორისთვისაც და მკითხველისთვისაც, რადგან, როგორც შოთა ნიშნიანიძე წერდა: „უქალალდოდ არ არის წიგნი, უწიგნოდ არ არის მწერლობა, ხოლო უმწერლობოდ არ იქნება ერი...“ და დღევანდელ ვითარება, როდესაც უამრავი წიგნი იბეჭდება, მაინც სასიხარულოა ახალი წიგნის დაბადება, განსაკუთრებით თუ ის განსხვავებული შინაარსით, ფორმატით, თემით, ჟანრით არის გამორჩეული და თუ ყოველივე ეს ქართული სიტყვის დიდოსტატის კალმით არის ასახული, ხოლო ეს გამოცემა რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ქართული მწერლობისთვის, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ იქნება. სწორედ ასეთი წიგნი მიიღო ქართველმა მკითხველმა — რევაზ მიშველაძის „ნოველები აფხაზეთზე“.

გადაფურცლავ წიგნს, ჩაიკითხავ, მთელი სიღრმით, სიმძაფრით გაისიგრძეგანებ ნოველებში გადმოცემულ რეალობას, იმას, რაც სულ ახლახანს გადავიტანეთ, რამაც მოუშუშებელი იარები დაგვიტოვა და რაც საქართველოს თითოეული მოქალაქის ტკივილია და ერთგვარი იმედიანობით აგავსებს ავტორისეული მონათხრობი: **„ესიზმრა კოკის, შორს, სადღაც, მტრის ხელში ჩარჩენილ აფხაზეთში მისი დამწვარი ოდის ბუხარზე მამალი ჰყიოდა. დიდი, ოძროსფერი, მეწამულდეზებიანი მამალი იყო. მორიგეობით, ოთხივ კუთხისკენ შეტრიალებით, ყელის გაგლეჯამდე ჰყიოდა მამალი. თითძოსდა მთელ დედამიწას ამ შეგილწულ კერასთან და გამძვარტლულ ბუხართან უხმობდა („დევნილი“!** გვ. 128).

დიახ, საქართველოს სახალხო მწერალი, რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელი რევაზ მიშველაძე ასე განიცდის რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობას და ქართული მოსახლეობის გამოდევნას თავისი ძირძველი ისტორიული სამშობლოდან, ნოველებში ხაზგასმულია ოკუპანტი რუსის ველურობა და სისასტიკე. წიგნში შესული ყველა ნოველა აფხაზეთის თემაზეა და დღევანდელი რეალობა მეტად მწარე და დამთრგუნველია, რადგან სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ბევრი სირთულე და მოუგვარებელი პრობლემა დაგვიგროვდა. სამ ათეულ წელზე მეტია თავისუფლებამოპოვებულ რეალობას ღირებულებათა გადაფასება, ტრადიციების რღვევა, ტერიტორიების დაკარგვა, უიმედობა მოჰყვა, რაც თითოეული ჩვენგანისთვის მტკივნეულია და რასაც გვერდს ვერ უვლის ავტორი: **„რა გამახარებს, როცა საქართველოს თითქმის ერთი მესამედი ოკუპირებულია. მე, პირადად, ერთადერთი ვაჟიშვილის სიცოცხლე გავიღე საქართველოს ძირძველი ისტორიული მიწის — აფხაზეთის დასაცავად დამპყრობელი რუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. საკმარისზე მეტია, რაც საქართველომ უკანასკნელ ომში სისხლი ღვარა. საქართველოს გამთლიანება მსოფლიოს პროგრესული ძალების მიერ აგრესორის დასჯით და კეთილი ნებით უნდა მოხდეს“.**

როგორც ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი მურმან თავდიშვილი წერს: „მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა, ის გვაოცებს ნიჭიერებით, გამომგონებლობით, ორიგინალობით, სხვათა მიერ შეუნიშნავი ცხოვრებისეული ნიუანსების შემჩნევისა და ოსტატურად გამოსახვის უნარით.

თავდაპირველად სამწერლობო ნაკრძალს მორიდებით უვლიდა ირგვლივ. უფრო მეტად მის მისადგომებს ზვერავდა, აკვირდებოდა, სწავლობდა და წარმოსახავდა... და იგი ჯიუტი გაბედულებით მიადგა მხატვრული შემოქმედების იმ ურთულეს უბანს, რომელსაც ნოველისტიკა ჰქვია“.

დანარჩენი კი მკითხველისთვის მიმინდვია, რადგან როგორც შოთა ნიშნიანიძე წერდა — „წიგნს წერს მწერალი, ხოლო წიგნის ბედისწერას — მკითხველი. მკითხველი მსაჯულია და მისი განაჩენი, როგორც იტყვიან, საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

რევაზ მიშველაძის ახალ კრებულს „ნოველები აფხაზეთზე“ ქართული ლიტერატურის ქომაგთა გულშემატკივრობა არ მოაკლდება და, დარწმუნებული ვარ, მკითხველი გულთბილად მიიღებს და სათანადო ადგილს მიუჩენს საკუთარ წიგნის თაროზე.

ნაირა მარშანია,
გიორგი შარვაშიძის პრემიის ლაურეატი;
მანანა გორგიშვილი,
ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

გვიხმობს სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო საგრანტო კონკურსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის თაოსნობით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომელიც ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებას, სახელმწიფო ენის დაცვასა და კვლევას შეუწყობს ხელს.

კონკურსის წარდგენის ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი უძღვებოდა და მასში მონაწილეობა მიიღეს მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ჯაბა სამუშიამ.

კონკურსი, საქართველოს სახელმწიფო ენის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მხარდაჭერასთან ერთად, ახალი ცოდნისა და რესურსების შექმნასაც ითვალისწინებს, რაც მყარ საფუძველს შექმნის სახელმწიფო ენის დაცვის, მისი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.

სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი, რომელიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მხარდაჭერით ხორციელდება, ეროვნული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, რადგან, ქართული ენის მკვლევრებთან ერთად, მასში მონაწილეობის შესაძლებლობა აფხაზური ენის კვლევით დაინტერესებულ აფხაზ მეცნიერებსაც ექნებათ. კონკურსი მონაწილეებს შესაძლებლობას მისცემს, სამეცნიერო პროექტები შემდეგი მიმართულებით წარმოადგინონ: ქართული ენა, ქართველური ენები, აფხაზური ენა, საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნება და ენობრივი ტექნოლოგიები.



სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი, რომლის ჯამური ბიუჯეტი 240 000 ლარს შეადგენს, სრულ შესაბამისობაშია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შექმნილ 2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის ძირითად მიმართულებებთან.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის ძირითადი მიზანია სახელმწიფო ენის შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამ მიზნის განსახორციელებლად კი რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა განისაზღვრა: ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა; ქართული სალიტერატურო ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა; ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე; ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა; საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერა.

ნახტომისებური ეკონომიკური ზრდა და ყველაფრის შემმუსვრელი ინფლაცია!

საქართველოს ეკონომიკამ წლის პირველი ნახევარი საოცარი შედეგით დაასრულა. ივნისში ისევ გაგრძელდა ეკონომიკური ზრდის დადებითი დინამიკა და მშპ-ს მატებამ 7.2% შეადგინა. ეს კი ნიშნავს, რომ იანვარ-ივნისის საშუალო მაჩვენებელმა 10.5% შეადგინა. ასეთმა შედეგმა არათუ მთავრობა, არამედ უცხოური სარეიტინგო კომპანიები განაწყო ოპტიმისტურად. თითქმის ყველა ელოდება, რომ მთლიანად 2022 წელი ორნიშნა მაჩვენებლით დასრულდება.

პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა არის მართლაც ძალიან გამორჩეული არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპის მასშტაბითაც.

ოპტიმისტურ განწყობას აღარ მალავენ უცხოური სარეიტინგო კომპანიები. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „ფიჩის“ შეფასებით, წელს საქართველოში ძლიერი შიდა და საგარეო მოთხოვნის, ასევე გაზრდილი ტურიზმისა და ქვეყანაში შემოსული ათასობით მიგრანტის ფულადი გზავნილის გამო მაღალი ეკონომიკური ზრდა იქნება. ორგანიზაციის პროგნოზით, 2022 წლის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 10.9%-ს მიაღწევს. ტემპი 2023 წლისთვის — 5.3%-მდე, ხოლო 2024 წლისთვის — 4.7%-მდე უნდა შემცირდეს.

ორგანიზაციამ საქართველოს სახელმწიფოს საკრედიტო რისკი უცვლელად, „BB“ დონეზე შეაფასა, ასევე უცვლელია ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის „სტაბილური“ მოლოდინი. „ფიჩი“ ასევე მოელის, რომ 2022 წლის განმავლობაში საქართველოში ინფლაციის საშუალო დონე 11.5% იქნება, ხოლო მონეტარული პოლიტიკა კი წლის განმავლობაში გამკაცრებულ დონეზე შენარჩუნდება. უფრო სკეპტიკურად არის განწყობილი ფინანსისტი **ნიკა შენგელია** და თვლის, რომ სარეიტინგო კომპანიის პროგნოზი გადაჭარბებულია.

„ფიჩის“ მოლოდინი გადაჭარბებულია. ზოგადად ყველასთვის ცნობილია, რომ სარეიტინგო კომპანიებს პოლიტიკური დანიშნულებაც აქვს ზოგ შემთხვევაში. ჩვენი პროგნოზით, ეკონომიკურმა ზრდამ 8.5%-ს არ უნდა გადააჭარბოს, თუმცა რეალური ზრდა ჩვენთან არ არის და ამას მოსახლეობა ვერ გრძნობს. ეკონომიკური ზრდა რამდენიც არ უნდა იყოს, ინფლაცია უფრო მეტია და ის „გვიჭამს“ მთლიან ზრდას.

რეალური ინფლაცია 30%-დან 35%-მდეა, თუ ავიღებთ პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებას, რასაც სტატისტიკა აქვეყნებს, ეს არის საშუალო მაჩვენებელი, მოსახლეობას კი სწორედ ის პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასები აწუხებს, ვიდრე სხვა დანარჩენი“, — განუცხადა „კომერსანტს“ შენგელიამ.

„გალტ ენდ თაგარტში“ კი მიიჩნევენ, რომ თუკი ძლიერი საგარეო შემოდინებების დინამიკა წლის ბოლომდე გაგრძელდა, წლის მე-2 ნახევარში გლობალური ზრდის შენელების მიუხედავად, ოპტიმისტურ სცენარში საქართველოს ეკონომიკური ზრდა 10.6%-მდე იქნება. ის რეიტინგი (BB), რომელიც დღეს საქართველოს აქვს მინიჭებული, წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ამის მიზეზი კი ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი, რეზერვების დაბალი დონე, არასახარბიელო მშპ-ს ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე და საგარეო ვალის მაღალი მაჩვენებელია.

გეძა დანელია

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

საქართველო
აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი
სესხის/კრედიტის No. IBRD 8547-GE პროექტის No.: P149952
დავალების დასახელება: ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების ექსპერტი კონტრაქტის ნომერი: EWHCIP/CS/ICS-03

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ **ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების ექსპერტებს** ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე (CV), რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება აღნიშნული მომსახურების გასაწევად.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

კონსულტანტებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენცია და გამოცდილება ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, რათა მიღწეული იყოს დავალების ზოგადი და კონკრეტულ მიზნები დროის, ხარჯებისა და ხარისხის თვალსაზრისით.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

სამოქალაქო ინჟინერიის ხარისხი ან მისი ექვივალენტი (მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება ITS სისტემების დიზაინსა და განხორციელებაში, საგზაო მოძრაობის მართვის ცენტრებისა და გვირაბების ჩათვლით);
თანამედროვე ITS ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნა;
ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

<u>შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>

დავალებით გათვალისწინებული საქმიანობის ძირითადი ნაწილი განხორციელდება თბილისში, საქართველოში. საკონსულტაციო მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 7 თვეს, ველზე ექსპერტის ოთხთვიანი ჩართულობით. მომსახურების დაწყების სავარაუდო თარიღია 2022 წლის სექტემბერი.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება „ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების“ მეთოდით, მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურებისა და რეგულაციების შესაბამისად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის რეზიუმესთან (CV) და სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ბეჭდური სახით ან ელექტრონულად, წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2022 წლის 18 აგვისტოს 15:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუმია
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი No.12, თბილისი, 0160, საქართველო ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)
Loan No. IBRD 8547-GE
Project No. P149952
Assignment Title: Intelligent Transport Systems (ITS) Expert
Reference No: EWHCIP/CS/ICS-03

The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of **the East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**, and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible Individual Consultants/Experts ("Consultants") to express their interest in providing the following services: **Intelligent Transport Systems (ITS) Expert** - to provide assistance in defining the requirements for a centralized traffic management center. Consultant should support the Roads Department of Georgia in establishing a Traffic Management Center (TMC) that will integrate countrywide ITS infrastructure and enable centralized asset management and the provision of necessary advisory services required for reviewing proposals (by contractors) on ITS infrastructure under ongoing projects with the aim to ensure system compatibility with traffic management center and their alignment with EU standards.

Interested individuals shall provide CV demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services.

Required Qualification and Experience of the Consultant:
✓ The Consultants should have proven competence and experience to undertake the tasks defined by these Terms of Reference to achieve the overall and the specific objectives of the assignment, in terms of time, costs and quality. Below are the minimum qualification and experience required:
✓ Degree in civil engineering or equivalent (minimum of 10 years of experience in design and implementation of ITS systems, including Traffic Control Centers and Tunnels)
- Sound knowledge on recent ITS technology developments.
- Fluency in English language is required.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Bulk of the assignment is expected to be done in Georgia, Tbilisi.

Estimated duration of assignment is **7 months** with 4-month input from the Consultant. Tentative start date is September 2022.

The Consultant will be selected under the "Individual Consulting Service" method for **a Lump-sum** contract, as described in the World Bank's Procurement Regulations for Investment Project Financing (IPF) Borrowers or other World Bank procurement guidelines as updated from time to time.

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than August 18, 2022, 15:00 hours.

Name: Ms. Salome Tsurtsumia

Position: Chairperson of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia Email: *info@georoad.ge*
Web Site: *www.georoad.ge*

სატენდერო მოწვევა

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

კონტრაქტის დასახელება: რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები

სატენდერო მოწვევა: SRAMP/CW/NCB-15

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **„შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის“ (SRAMP)**. აღნიშნული პროექტიდან დანაზოგიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **რაჭის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მონაკვეთებზე (შ16 კმ106.5-კმ109; შ16 კმ109,5; შ16 კმ114; შ16 კმ119-კმ120; შ16 კმ123,5-კმ125,5) კლიმატური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები**.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, სამუშაოების განსახორციელებლად წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამუშაოების განხორციელების პერიოდია **8 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა **3,127,626.00 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შეთავაზებული სამუშაოების ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების (გარდა ავანსის თანხისა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კონტრაქტის ფარგლებში) ხელმისაწვდომობის დასტური სულ მცირე **1,200,000.00 ლარის** ოდენობით, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით (დამკვეთი იტოვებს უფლებას დააზუსტოს თუ საკრედიტო ხაზის შესახებ წარმოდგენილი წერილი იქნება ბანკის მხრიდან რაიმე პირობის გათვალისწინებით);

ბ. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2019; 2020 და 2021) საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა სულ მცირე **3,100,000.00 ლარის** ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან/და დასრულებული კონტრაქტებიდან მიღებული დადასტურებული გადახდებიდან, გაყოფილი 3 წელზე;

გ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის ზოგადი სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს ბოლო **5 წელს 2017 წლის 1 იანვრიდან;**

დ. ძირითადი კონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვეკონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს **2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** ერთ (1) საფარიანი გზის მშენებლობის/ რეკონსტრუქციის/ რეაბილიტაციის კონტრაქტს ღირებულებით არანაკლებ **2,500,000.00 ლარი** ან ორ (2) საფარიანი გზის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის კონტრაქტს თითოეულის ღირებულებით არანაკლებ **1,250,000.00** ლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია (სამუშაოების 80% ან მეტი დასრულებულია) და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების მსგავსია;

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად სამუშაოებში:

- **350 მ რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე.**
- **11,500 მ ქვათაცვენის საწინააღმდეგო დამცავი ბადის მოწყობის სამუშაოები, 2017 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე (აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა პრეტენდენტმა დააკმაყოფილოს სპეციალიზირებული ქვეკონტრაქტორის მეშვეობით).**

სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

5. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად, 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

6. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

7. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება ელექტრონულად საქართველოს სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცვლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება.

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ შემოთავაზებული სამუშაოების ღირებულების განსაზღვრაზე.

გ) გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)”. ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება სისტემაში.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ე.ი 120+28=148 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

INVITATION FOR BIDS

GEORGIA

Secondary Roads Asset Management Project (SRAMP)

Contract Title: Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5

Bid invitation No. SRAMP/CW/NCB-15

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Secondary Roads Asset Management Project (SRAMP) and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract: **Climate Resilience Measures for Racha's Secondary Road Network Sections: Sh16 km106.5-km109; Sh16 km109.5; Sh16 km114; Sh16 km119-km120; Sh16 km123.5-km125.5**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids for execution of these works. Implementation period of works is **8 months.**

3. The estimated cost of the works is **GEL 3,127,626.00** including all taxes, duties and other levies. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed works.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a) The Bidder shall demonstrate that it has access to, or has availability to liquid assets, unencumbered real assets, lines of credit (the letter from the bank must demonstrate bank's commitment to provide financing in case if the Bidder will be successful in subject tender. Letters from a bank only demonstrating bank's intention to finance bidder without any commitment may not be accepted by the Employer during evaluation and may be subject to clarification), and other financial means (independent of any contractual advance payment) sufficient to meet the construction cash flow requirements estimated as **GEL 1,200,000.00** for the subject contract(s) net of the Bidders other commitments;

b) Minimum average annual turnover of **GEL 3,100,000.00** calculated as total certified payments received for contracts in progress and/or completed within **the last 3 years (2019; 2020 and 2021), divided by 3 years;**

c) Experience under civil works contracts in the role of prime contractor, JV member, sub-contractor, or management contractor for at least the last **5 years, starting 1st January 2017.**

d) A minimum number of similar contracts specified below that have been satisfactorily and substantially completed (substantial completion shall be based on 80% or more works completed under the contract) as a prime contractor, joint venture member , management contractor or sub-contractor between **1st January, 2017 and bid submission deadline:** at least one (1) contract for paved roads construction/reconstruction/rehabilitation with minimum value of **GEL 2,500,000.00** or two (2) contracts for paved roads construction/reconstruction/rehabilitation with minimum value of **GEL 1,250,000.00 of each contract**;

e) For the above and any other contracts completed and under implementation as prime contractor, joint venture member, management contractor or sub-contractor on or after the first day of the calendar year during the period stipulated in 4.2 (a) above, a minimum construction experience in the following key activities successfully completed:

- **Arrangement of 350m Reinforced Concrete Retaining Wall, between 1st January, 2017 and bid submission deadline.**
- **Arrangement of 11,500 m2 Rock Fall Protection Net, between 1st January, 2017 and bid submission deadline (This activity can be met through a Specialized Subcontractor).**

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement.

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System, failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.

- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

- Please note that bidding is conducted under National Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January, 2011 revised July 2014 ("Procurement Guidelines"). Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 120 days+28 days = 148 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

◎ ბრძენთა თამაში

ჩინებული სტარტი, მაგრამ...

დამთავრდა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის პირველი ნახევარი ქალთა 162 და ვაჟთა 188 გუნდის მონაწილეობით, რომელსაც ფავორიტ ჩინელთა და სანქციირებულ რუსთა არყოფნაში ინდოეთის ქალაქი ჩენაი მასპინძლობს.

შვეიცარიული სისტემით – 11 ტურად მიმდინარე ფორუმის მანდილოსანთა ტურნირის რეიტინგ-ლიდერები არიან ინდოეთი (კონერუ, დრონავალი, ვაიშალი, საჩდევი, კულკარნი), უკრაინა (დები მუზიჩუკები, უშენინა, ბუკსა, ოსმაკი) და საქართველო (ძაგნიძე, ჯავახიშვილი, ბაციაშვილი, არაბიძე, მელია, კაპიტანი – **დავით ჯოჯუა)**.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ოლიმპიადების ოთხგზის გამარჯვებული, ერთგზის ვიცე-ჩემპიონი და სამჯერ ბრინჯაოს მედალოსანია, რაც მის წლევანდელ საჩემპიონო ამბიციებს სავსებით საფუძვლიანად წარმოაჩენს. მართლაც, „ჯვაროსნებს“ ხუთივე სასტარტო შეხვედრა ერაყთან, ლიეტუვასთან, ჩეხეთთან, აგრეთვე ინდოეთის მეორე და მესამე გუნდებთან მოგებული ჰქონდათ და როგორც რუმინეთთან, ისე მასპინძელთა პირველ ნაკრებთან ერთად ქულათა მაქსიმუმით დაწინაურებულნი იყვნენ. რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, მისი რეიტინგ-ფავორიტები არიან აშშ (კარუანა, არონიანი, სო, დომინგესი, შანკლენდი), ინდოეთი (ჰარიკრიშნა, ვიდიტი, ერიგაიში, ნარაიანანი, შაშიკირანი) და ნორვეგია (მსოფლიოს ჩემპიონი კარლსენი, ტარი, ჰამერი, კრისტიანსენი, ურკედალი), საქართველოს ნაკრები (ჯობავა, მჭედლიშვილი, პაიჭაძე, ფანცულაია, გელაშვილი, კაპიტანი – **ზურაბ სტურუა)** კი განთესვით 24-ეა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა შესანიშნავი სტარტი აიღო – 4 გამარჯვება და მხოლოდ ამერიკელებთან მარცხი.

ასეთი სტახანოვური ტემპი ქართველ მოჭადრაკეებს მე-6 ტურში დააგდებინეს.

ქალები. ინდოეთი – საქართველო 3:1. თავიანთი პარტიები წააგეს ძაგნიძემ და ჯავახიშვილმა (პირველი და მეორე დაფები), შესაბამისად, კონერუსთან და დრონავალთან.

ვაჟები. ნიდერლანდები – საქართველო 2,5:1,5. დამარცხდნენ ჯობავა და მჭედლიშვილი, მოიგო გელაშვილმა.

გუშინ ოლიმპიადის მონაწილენი ისვენებდნენ.

◎ ლეგიონერები

ერთი თვით აღრე...

მოახლოებული ევრობასკეტის წინ საინტერესო სიახლეებია „ჯვაროსანთა“ ტრანსფერებთან დაკავშირებით.

კერძოდ, საქართველოს ნაკრების 35 წლის გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** ტრავმის გამო გაცდენილი სეზონისა და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კარიერას ტუნისურ „მონასტირში“ გააგრძელებს, სადაც პარტნიორობას ჩვენი ეროვნული გუნდის ყოფილ ნატურალიზებულ ამერიკელ უკანახაზელს **მაიკლ დიქსონს** გაუწევს. ამ კლუბს 7-ჯერ აქვს მოგებული ქვეყნის ლიგა, 4-ჯერ – თასი, ხოლო თითოჯერ – იქაური ფედერაციის თასი, შავი კონტინენტის ლიგა და ახლახან – აფრიკის ჩემპიონთა თასი, როცა ფინალში ანგოლის „პეტრო დე ლუანდა“ დაამარცხა – 83:72.

ამასობაში გაცხადდა, რომ ნბა-ში რამდენიმე სერიოზული გაცვლა იგეგმება, რომელშიც 10 ფიგურანტი ჩაერთვება და ხსენებულ სიაშია „ინდიანა პეისერსის“ ცენტრი **გოგა ბითაძე.**

ინფორმაციის თანახმად, რიკ კარლაილი მაილს ტერნერსა და ჩვენს თანამემამულეს „ლეიკერსში“ რასელ ვესტბრუკის, ტეიტლენ ჰორტონ ტაკერისა და 2025(!) წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის ნაცვლად გაუშვებს.

შეგახსენებთ, რომ ბითაძე „ინდიანამ“ 2019 წლის ნბას დრაფტის მე-18 ნომრად აირჩია, ხოლო იმავე წლის 15 ივლისს მან ახალბედის მრავალწლიანი კონტრაქტი გაიფორმა, რომელიც თითო წლით ორჯერ გაახანგრძლივა – 2020 წლის დეკემბერში და შარშან ოქტომბერში.

რაც შეეხება სტატისტიკას, გოგა „პეისერსის“ მაისურით ჩატარებულ 50 შეხვედრაში საშუალოდ 7 ქულას, 3,5 მოხსნას, 1,1 პასსა და 0,8 დაფარებას აგროვებდა.

◎ ბურთი და სანახაობა

„ტორსიდას დაეჯერება

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ტიტული მნიშვნელოვანია, მაგრამ არა – გადამწყვეტი.

საუბარია პოპულარულ გამოცემა „გლობოს“ მიერ მოწყობილ გამოკითხვაზე, რომელსაც ბრაზილიის ისტორიაში საუკეთესო საფეხბურთო მწვრთნელი უნდა გამოევლინა.

ასმა ტექნიკურმა სპეციალისტმა და 103-მა როგორც მოქმედმა, ისე ყოფილმა კოლეგამ უპირატესობა **ტელე სანტანას** მიანიჭეს (1982 და 1986 წლის მუნდიალები). მართალია, პირველ შემთხვევაში მისი შეგირდები მეორე ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშნენ ოქროსათვის ბრძოლას, ოთხი წლის შემდეგ კი საფრანგეთთან პენალტების სერიაში წააგეს მეოთხედფინალი, მაგრამ სანტანას თანამემამულეთა „ტორსიდა“ სანახაობრივი თამაშით მოიხიბლა.

მსოფლიოს ერთადერთი ოთხგზის ჩემპიონი (ორჯერ – მოთამაშის, თითოჯერ – თავკაცისა და ასისტენტის ამპლუაში) მარიო ზაგალო მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო 2002 წლის ტრიუმფატორი ლუის ფელიპე სკოლარი – მესამეზე.

◎ ოვალური ბურთი

ცხრა მთას იქით...

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ვაჟთა ნაკრები 12-14 აგვისტოს მსოფლიოს სერიის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს, რომელსაც ჩილე უმასპინძლებს. შეხვედრები სანტიაგოს სანტა ლაურას სტადიონზე გაიმართება.

პლანეტის სერიის საგზურისთვის მსოფლიოს ექვსივე რეგიონის 12 გუნდი იბრძოლებს, რომლებიც სამ ოთხწევრიან ჯგუფში არიან გადანაწილებული, მეოთხედფინალში კი თითოეული კვარტეტიდან ორ-ორი მოწინავე და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი გადის.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ამერიკაში ყველა ადგილი გათამაშდება, მაგრამ მსოფლიოს სერიის საგზურს მხოლოდ გამარჯვებული მიიღებს.

„ა“ ჯგუფი: საქართველო, ჩილე, სამხრეთ კორეა, პაპუა ახალი გვინეა;

„ბ“ ჯგუფი: ჰონკონგი, ტონგა, იამაიკა, ზიმბაბვე;

„გ“ ჯგუფი: ურუგვაი, უგანდა, გერმანია, ლიეტუვა.

დავძენთ, რომ შვიდკაცა „ბორჯღალოსნებს“ გაძლიერების მიზნით „შავი ლომისა“ და ეროვნული ნაკრების სამი უკანახაზელი დაემატა: მოდებაძე, ლომიძე და მატკავა.

საქართველოს ნაკრები

გუშარაშვილი, მოდებაძე, რეხვიაშვილი, კოშაძე, გიგაური, გელაშვილი, მატკავა, სიმსივე, ჯობავა, ბაბუნაშვილი, კოხოძე, ლომიძე, ჭიჭინაძე, ნარიმანიძე, ჭუაძე.

◎ საფრთხე

ციხეც, ჯარიმაც...

„ბარსელონას“ დაცვის ბურჯთან ერთარდ პიკესთან ხმაურიანი გაყრის შემდეგ, რის მიზეზადაც კატალონიელი ვარსკვლავის ღალატი სახელდება, ესპანელი კანონმდებლები 45 წლის შაკირას გადასახადებისგან თავის არიდებასა და 14-მილიონიანი ჯარიმის გადაუხდელობას ედავებიან.

საქმე პროკურატურამდე მივიდა, რომელიც მომღერლისთვის უმკაცრეს სასჯელს ითხოვს. საუბარია თავისუფლების 8 წლით აღკვეთასა და უკვე 19-მილიონიან ჯარიმაზე. თავის მხრივ, ესტრადის მშვენება ბრალდებას უარყოფს, თუმცა პოპულარული გამოცემა „ელ პაისი“ იურისტებზე დაყრდნობით ინფორმაციას ავრცელებს, რომ მას სასჯელისთვის თავის არიდება ძალიან გაუჭირდება.

ბრალდებაზე კომენტარი გააკეთა შაკირას დაცვის მხარემაც. მისი ინტერესების დამცველები ამბობენ, რომ ის სამაგალითო მოქალაქე და ადამიანია. არადა, სარჩელში, რომლითაც პროკურატურამ სასამართლოს მიმართა, საუბარია 2012-2014 წლებში დაახლოებით 14 მილიონი ევროს გადასახადებზე, რომლებსაც მომღერალმა თავი აარიდა.

◎ აუქციონი

ნახევარი საუკუნის შემდეგ...

რინგის მეფის მუჰამედ ალის (კასიუს კლეი) მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი აუქციონზე გაიყიდა. ის ამერიკელმა მეწარმემ და ნაციონალური საფეხბურთო ლიგის კლუბის „ინდიანაპოლის კოლტსის“ მფლობელმა ჯიმ ირსეიმ 6,18 მილიონ დოლარად შეიძინა.

ხელთათმნიანმა ლეგენდამ პლანეტის მოკრივეთა საბჭოს ჩემპიონის ქამარი 1974 წელს მაშინდელი ზაირის დედაქალაქ კინშასაში აუტანელი სინესტის პირობებში გამართული ბრძოლის შედეგად მოიპოვა, როცა ჯორჯ ფორმენი ნოკაუტში გაგზავნა.

კარიერის განმავლობაში ალი სულ ორჯერ გახდა მსოფლიოს აბსოლუტური გვირგვინოსანი მძიმე წონაში და ამ ტიტულს 1964-1966 და 1974-1978 წლებში ინარჩუნებდა.

მის ანგარიშზე პროფესიულ რინგზე მოპოვებული 56 გამარჯვებაა, მათგან 37 – ნოკაუტით, და 5 დამარცხება.

დავძენთ, რომ მუჰამედ ალი ექვსჯერ აღიარეს წლის საუკეთესო მოკრივედ. მის კოლექციას ასევე ამშვენებს 1960 წელს რომში მოხვეჭილი ოლიმპიური ოქროს მედალი, პოლიტიკურ ასპარეზზე კი სახელი ვიეტნამის ომთან დაკავშირებული პოზიციის პირუთვნელად გამოხატვით გაითქვა.

მეცნიერებმა შექმნეს ქაღალდის ბატარეა, რომელიც წყლით აქტიურდება!

ახლად შექმნილი, წყლით გააქტიურებადი ქაღალდის ერთჯერადი ბატარეა გვპირდება, რომ დიდ გავლენას მოახდენს ერთჯერადი გამოყენების ელექტრონიკაზე – მაგალითად, მედიცინისა და მრეწველობის დარგებში გამოყენებულ დროებით მოწყობილობებზე.

მკვლევართა მიერ წარმოდგენილი ბატარეა ბიოდეგრადირებადია, დამზადებულია მდგრადი მასალებისგან და იაფია. გარდა ამისა, მისი წარმოება შესაძლებელია სხვადასხვა ზომებში და ფორმებში, საჭიროების მიხედვით.

ორუჯრედიანი ბატარეა საკმარისი აღმოჩნდა დსპ მაღვიძარა საათის კვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს მომავალში ის თქვენს ლეპტოპს ნამდვილად არ დატენის, დიდი პოტენციალი აქვს დაბალი სიმძლავრის სენსორებსა და ტრეკერებში გამოყენების მხრივ.



„წარმოგიდგენთ ქაღალდის დაბეჭდილ ბატარეას, რომელიც შექმნილია ერთჯერადი გამოყენების ელექტრონიკისთვის და გარემოსადმი ზიანის შესამცირებლად“, – წერს მკვლევართა ჯგუფი პუბლიკაციაში.

მკვლევართა განცხადებით, ბატარეა ეფუძნება ლითონ-აირის ელექტროქიმიურ უჯრედს, რომელიც ანოდში თუთიას იყენებს ბიოდეგრადირებადი ლითონის სახით, კათოდში გრაფიტს, ელექტროდებს შორის გამყოფად ქაღალდს და წყალზე დაფუძნებულ ელექტროლიტს.

ბატარეა დამზადებულია ნატრიუმის ქლორიდის მარილის დიფუზიური ქაღალდისგან და შესაძლებელია, რომ მისი ზომა ერთი კვადრატული სანტიმეტრიც კი იყოს; ეფუძნება ნაბეჭდ მელნებს: ერთი მელანი გრაფიტის ქერცლებს შეიცავს და კათოდის როლს ასრულებს %დადებითი დაბოლოება), ქაღალდის მეორე მხარეს დაბეჭდილი კი თუთიის ფხვნილს შეიცავს და ანოდის %უარყოფითი დაბოლოება) როლს ასრულებს.

მესამე მელანი შედგება გრაფიტის ქერცლებისა და ნახშირბადის შავი საღებავისგან; დაბეჭდილია ორივე მხარეს, სხვა დანარჩენი ორი მელნის მაღლიდან და დადებით და უარყოფით დაბოლოებებს ორ სადენთან აერთებს. სადენები ცვილით არის დაფარული და ქაღალდის ერთ ბოლოზეა მიმაგრებული.

ამის შემდეგ, საჭიროა მხოლოდ მცირე ოდენობის წყალი, სულ რაღაც ორი წვეთი. ის ქაღალდში მარილს შლის და გამოყოფს დამუხტულ იონებს, რომლებიც შემდეგ, გადაადგილებისას, ბატარეას ააქტიურებენ. ელექტრულ მოწყობილობასთან სადენების მიბმის შედეგად, წრედი იხურება, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია ელექტრონების უარყოფითი დაბოლოებიდან გადაეცეს დადებით დაბოლოებას.

ქაღალდის ბატარეის სტაბილური ძაბვა 1,2 ვოლტს შეადგენს და ახლოს არის სტანდარტული ტუტოვანი AA ბატარეის დონესთან %1,5 ვოლტი). ბატარეა ენერგიის გამომუშავებას წყლის დამატებიდან 20 წუთის შემდეგ იწყებს, როგორც ეს ექსპერიმენტებში გამოჩნდა.

„ეს წარმოაჩენს, რომ მიუხედავად სტანდარტულ ტექნოლოგიებთან შედარებით ენერგიის შეზღუდული სიმკვრივისა, ჩვენი ბატარეა მაინც რელევანტურია ფართო სპექტრის დაბალენერგიული ელექტრონიკისათვის“, – წერენ მკვლევრები.

მიუხედავად იმისა, რომ წარმადობა დროთა განმავლობაში მცირდება, ქაღალდის გაშრობასთან ერთად, მისი შევსება შესაძლებელია გარკვეულწილად მეტი წყლით. დამატებითი წყლით, ბატარეას მაინც შეუძლია 0,5 ვოლტის გამომუშავება პირველი გააქტიურებიდან ორი საათის შემდეგაც.

ამ დროისათვის, ეს პრინციპის დამადასტურებელი კვლევაა, მაგრამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი ბატარეის წარმოება არც ისე რთულია. მკვლევართა განცხადებით, მომავალში მათ ბატარეის ეფექტიანობის გაზრდა სურთ, ასევე უნდათ, რომ მან უფრო დიდხანს იმუშაოს.

კვლევა Scientific Reports-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 27 აგვისტოდან გაიხსნება

– ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს.

„გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის მსურველი ვალდებულია: ნადირობამდე გადაიხადოს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი (10 ლარი);

გადახდიდან შვიდი დღის (გადახდის დღის ჩათვლით) განმავლობაში ნადირობის შემთხვევაში თან იქონიოს ამ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;

ნადირობისას თან იქონიოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია ინადიროს გადამფრენ ფრინველებზე, გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელი გადაიხადოს წლის აგვისტოს მეოთხე შაბათიდან მომდევნო წლის პირველ მარტამდე, ხოლო მოსაკრებლის წლის დასაწყისში (იანვარი ან თებერვალი) გადახდის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია ინადიროს მოსაკრებლის გადახდის წლის პირველ მარტამდე პერიოდში.

მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნეგისმიერ ბანკში, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101 222, ანგარიშის ნომერი: □200122900, ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი: 3033.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები უკანონო ნადირობისა და ნადირობის წესების დარღვევის მიმართულებით, ნადირობის სეზონის ფარგლებში, 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს განახორციელებენ მთელი საქართველოს მასშტაბით.

მოქალაქეებმა კანონდარღვევის დადასტურების შემთხვევაში, უნდა მიმართონ სამინისტროს ცხელ ხაზს - 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

სულთათანა

ავთანდილ ბარათაშვილი – ქვეყნისა და ერის ქომაგი

გარდაიცვალა ქველმოქმედი, ხალხის მსახური, თავისი ქვეყნისა და ერის ქომაგი ავთანდილ ბარათაშვილი.

მის სახელთან ბევრი სიკეთეა დაკავშირებული: ასობით ახალგაზრდის სწავლა-განათლება, უპოვართა დაპურება, ავადმყოფთა გამოჯანმრთელება, ოჯახის შექმნა, დასახლკარება და ა.შ.

ჩვენი სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ყველას უჭირს: დასაქმებულს – მძიმე შრომა აწუხებს, უმუშევარს – უსაქმურობა და დასვენებების სიმრავლე, ავადმყოფს – ტკივილი, ჯანმრთელს – სხეული, დაქორწინებულს – მეუღლე, დაუქორწინებელს კი მარტოობა..., მოკლედ, ვინ რით იტანჯება, ვინ რით... ძალიან ცოტაა ადამიანთა ის კატეგორია, რომელიც ახერხებს ამ რთულ ცხოვრებაში შექმნას კომფორტული გარემო, სადაც ადამიანთა შორის იქნება ჰარმონიული დამოკიდებულება, დაისადგურებს სიკეთე და არ იქნება ბოროტება. ამ ადამიანებს შორისაა ავთანდილ ბარათაშვილი.

ავთანდილ ბარათაშვილი დაიბადა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რაქვთაში, მრავალშვილიან, ტრადიციულ ოჯახში. ბაშვობაში მზრუნველობა არ მოკლებია, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ის ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში გავიდა ოჯახიდან, წავიდა უცხო ქვეყანაში, სადაც მარტოობაში ბევრი გაჭირვება გამოიარა და თავისი ნიჭითა და შრომით შექმნა საქმე, რომელიც მიუძღვნა არა მხოლოდ ოჯახის, დედმამიშვილების, ნათესავების, მეგობრების კეთილდღეობას, არამედ ჩააყენა საქართველოს სამსახურში.

ცნობილია, რომ პიროვნების დამსახურება საზოგადოების წინაშე გაწეული ამაგით იზომება. ცხადია დიდი საქმის კეთებას, დიდ უნართან ერთად დიდი ასპარეზი უნდა. სწორედ ასეთი დიდი ასპარეზია – საქველმოქმედო საქმიანობა. ამ დიდ, საპატიო და კეთილშობილურ საქმეს ემსახურა ავთანდილ ბარათაშვილი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში.

ყველაზე ძნელი სიკეთის კეთებაა, არა იმიტომ, რომ დიდი ფული, არამედ დიდი გული ჭირდება. ავთანდილ ბარათაშვილი გაჭირვებულთა ყოფითა და ავადმყოფთა ტკივილით ცხოვრობდა. სხვანაირად, შორიდან ყურებით ან „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი“, მიდგომით სიკეთე არ კეთდება.

ავთანდილ ბარათაშვილი ათეული წლებია, რაც ქველმოქმედებას ეწევა. მე ვარ მოწმე, რომ მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათეულობით სტუდენტის სწავლას აფინანსებდა, გარდა ამისა წარჩინებული სტუდენტებისთვის დაწესებული ქონდა სახელობითი სტიპენდიები... უშურველად ზრუნავდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.

ავთანდილ ბარათაშვილი საქველმოქმედო საქმიანობის სფეროს მუდმივად აფართოებდა და სრულყოფდა. მან საქველმოქმედო საქმიანობის ორგანიზებაში ჩართო ოჯახის წევრები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ძმის, პროფესორ დავით ბარათაშვილის ჩართულობა და დამსახურება. ავთანდილისთვის მთავარი იყო დროული ინფორმაცია, ის დაუყოვნებლივ ახდენდა პრობლემის აღქმას, გაცნობიერებას და საჭირო დროს საჭირო ადგილას იგრძნობოდა მისი მადლიანი მხარდაჭერა.

დღეს ასევე ღირებულია სიკეთის დანახვაც და მადლიერების გამოხატვაც. სწორედ ამიტომაც, განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ, უნივერსიტეტის წინაშე დამსახურებისათვის, ავთანდილ ბარათაშვილს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება.

ავთანდილ ბარათაშვილი იყო ალალ-მართალი, გულისხმიერი და მზრუნველი კაცი, რომელიც სიყვარულით, სიკეთით დაბიჯებდა დედამიწაზე, უხდებოდა, ამშვენებდა მშობლიურ მხარეს და ქვეყანას.

ავთანდილ ბარათაშვილის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და ყველას, ვინც მას იცნობდა მძიმე, მწუხარე დღეები აქვთ - მისი გარდაცვალების გამო. ამ მწუხარების ერთ-ერთი მონაწილე მეც ვარ.

და მაინც, იმედით ვცოცხლობთ. იმედი კი არის ის, რომ ავთანდილ ბარათაშვილის შვილები გააგრძელებენ მამის სიცოცხლეს და საქმეს, რომელიც სიკეთის კეთებაზე იყო ორიენტირებული: „სიკეთეს არ ემუქრება დრო, სიკეთეს ვერას ვნებს დრო“...

ალიოშა ბაკურიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

2022 წლის 5 აგვისტოს 95 წელი შეუსრულდა მხცოვან ქართველ ეკონომისტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გედევან ხელაიას. ის 70 წელია, რაც სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონი გედევანი 1989 წლიდან 2005 წლამდე რექტორის რანგში წარმატებით ხელმძღვანელობდა გორის უნივერსიტეტს.

ვულოცავ პროფესორ გედევან ხელაიას დაბადებიდან 95 და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დაწყებიდან 70 წლისთავს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, მხნეობას და წარმატებებს.

აკადემიკოსი
ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ (ᲚᲐᲓᲝ) ᲞᲐᲞᲐᲕᲐ

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥ-ᲪᲐᲗᲐᲛᲑᲯᲔᲜᲘ

საუდის არაბეთში ქალაქ-ცათამბჯენს ააშენებენ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნაგებობა იქნება. „სარკისებრი ხაზის“ მშენებლობის გეგმის შესახებ პრინცმა მუჰამად იბნ სალმანმა ჯერ კიდევ 2021 წელს განაცხადა, მაგრამ ახლა ჟურნალისტებმა პროექტის შესახებ დეტალების გარკვევა მოახერხეს.

ინოვაციური ქალაქი ორ სარკისებრ ცათამბჯენს შორის განლაგდება, რომელთა სიგრძეც 120-179 კილომეტრი იქნება, სიმაღლე კი 500 მეტრი, რაც ეიფელის კოშკისა (330 მეტრი) და ემფაიერ სთეით ბილდინგზე (450 მეტრი) მეტია. მშენებლობას 50 წელი და 1 ტრილიონი აშშ დოლარი დასჭირდება. თანხის ნახევარს საუდის არაბეთის მთავრობა საფონდო ბირჟაზე აქციების განთავსებით დაფარავს.

„სარკისებრი ხაზი“ 5-9 მილიონ ადამიანზეა გათვლილი. ეს ეკოლოგიურად სუფთა, ავტომობილებისა და გამონაბოლქვისგან თავისუფალი ქალაქი იქნება. მისი ინფრასტრუქტურა მხოლოდ ენერგიის განახლებად წყაროებზე იმუშავებს, იქ გამწვანების მრავალი ზონა და ზომიერი კლიმატი იქნება, ბუნებრივი ვენტილაციით. ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე მიღწევას კი მხოლოდ 20 წუთი დასჭირდება. ქალაქის სიგრძე 120 კილომეტრი იქნება. ამ ეტაპზე მშენებლობის დაწყების თარიღი არ სახელდება.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲛᲐᲜᲘ – ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲨᲘ

მოცეკვავე, მოდელი, დიზაინერი, ქართველი გოგონა ნანა სტამბოლიშვილი პოპულარულ თურქულ სერიალში „Emanet“ (სხვისი შვილი) მესამე სეზონში ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს.

ნანა დღეს ბათუმში მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობს. მას საკუთარი ტანსაცმლის ხაზი-„ნანა ქართველი“ აქვს და სოციალურ მედიაში, საკმაოდ პოპულარულია.

სერიალი „სხვისი შვილი“, რამდენიმე სეზონია ლიდერობს არა მარტო თურქეთის, არამედ მსოფლიოს სატელევიზიო სივრცეში, მათ შორის საქართველოშიც. მასში მთავარი გმირი ქალის როლს, ცნობილი თურქი მსახიობი, სილა თურქოღლუ ასრულებდა, თუმცა მან მესამე სეზონში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. სწორედ მის ადგილს დაიკავებს ჩვენებური ლამაზმანი. ნანა უკვე სტამბოლში იმყოფება გადაღებებზე და მას მაყურებელი სულ მალე იხილავს ეკრანზე. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეს, თურქულ კინოინდუსტრიაში.

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ 100-ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ

საქართველოს მთავრობამ, ბათუმთან ახლოს, (ბარცხანასა და თამარის დასახლებაში) პალმის ფორმის ხელოვნური კუნძულის მშენებლობის პროექტს განსაკუთრებული ობიექტის სტატუსი მიანიჭა.

კუნძულის მშენებლობის იდეა, აჭარის მთავრობამ 2021 წლის სექტემბერში დააანონსა. თორნიკე რიჟავაძის თქმით 6-7 კვირაში, მშენებლობის დაწყება იგეგმება,

მთავრობასა და დეველოპერებს შორის მოლაპარაკება თითქმის დარულებულია. შავ ზღვაში, ხელოვნური კუნძულის მშენებლობას კომპანია „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ განახორციელებს. პროექტი ულტრათანამედროვე გასართობ-გამაჯანსაღებელი ტიპის ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის, ერთი კუნძულის შექმნასა და მათზე ინფრასტრუქტურის მოწყობას გულისხმობს. პროექტის პირველი ეტაპის განსახორციელებელ თანხას, 100 მილიონ დოლარს კომპანია „ამბასადორი“ ჩადებს. კუნძულის მშენებლობაზე 2000 ადამიანი დასაქმდება.

მოამზადა **რუსუდან ქობულიამ**

15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ!

წელს Black Sea Arena მსმენელს სრულიად ახალ, განსხვავებულ საკონცერტო გამოცდილებას სთავაზობს. ამჯერად კონცერტი არა უშუალოდ არენას სცენაზე, არამედ მის ეზოში გაიმართება.

„ეს სიახლე ჩვენი თავგადასავლის ნაწილია და ის ზაფხულში შეკვეთილის გრილი საღამოს საუკეთესოდ გატარების საშუალებას მოგცემთ. 15 აგვისტოს ღონისძიებაზე უფრო მეტი საცეკვაო ადგილიც გვექნება, მაშინ როცა Black Sea Arena-ის ეზოს L'Impiratrice-ის მუსიკა დაიპყრობს.

15 აგვისტოს თბილისი-ბათუმის მიმართულებით დამატებითი მატარებელი დაინიშნება, რომელიც Black Sea Arena-ს ბაქანზე გაჩერდება.მატარებელი თბილისის ცენტრალური სადგურიდან 13:10 საათზე გამოვა და უკან, კონცერტის შემდეგ, 23:40-ზე დაბრუნდება. ავტობუსები თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათუმიდან გამოემართებიან შეკვეთილისკენ. ბილეთების შეძენა ბენე ექსკლუზივის ვებგვერდზე შეგიძლიათ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲥᲐᲕᲥᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
აშშ დოლარი - 2.7332; ევრო - 2.7835
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3299;
100 რუბლი - 4.5084; თურქული ლირა - 0.1522;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6119;
1000 სომხური დრამი - 6.7465.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ბარი - ღამე +19, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +31
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ბარი - ღამე +20, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +17, დღე +31
თბილისი: ღამე +25, დღე +33

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge